



დოკუმენტის ქართული თარგმანი შესრულებულია
 ორგანიზაციის
 „ციხის საერთაშორისო რეფორმა“ მიერ, ევროკავშირის
 მიერ დაფინანსებული პროექტის „წამების პრევენცია
 საქართველოში“ ფარგლებში



**სამოქალაქო საზოგადოება და
 წამების პრევენციის ეროვნული
 მექანიზმები**
 წამების წინააღმდეგ კონვენციის
 ფაკულტატიური ოქმის შესაბამისად¹

ივნისი 2008

შესავალი

წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ფაკულტატიური ოქმი წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში რეგულარული ვიზიტების სისტემის შექმნით, დახმარებას გაუწევს სახელმწიფოებს წამებისა და სხვა ფორმით სასტიკი მოპყრობის ინციდენტების პრევენციაში. იგი ეფუძნება მოსაზრებას, რომ რაც უფრო ღია და გამჭვირვალეა თავისუფლების შეზღუდვის ადგილები, მით უფრო ნაკლებია ძალადობა.² ამ ამოცანის გათვალისწინებით, წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ფაკულტატიური ოქმი წევრ სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას, რომ დანიშნონ ან შექმნან ეროვნული ორგანო ან ორგანოები – ე.წ. წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ რეგულარულ პრევენციულ ვიზიტებს იმ ადგილებში, სადაც პირები არიან ან შეიძლება იყვნენ თავისუფლებადაკეტილი. წამების პრევენციის აღნიშნული ეროვნული მექანიზმები შექმნილი უნდა იყოს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ფაკულტატიური ოქმის რატიფიკაციიდან ან მიღებიდან ერთი წლის განმავლობაში.

წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმი შედის წევრ სახელმწიფოსთან კონსტრუქციულ დიალოგში რეკომენდაციების და წინადადებების მეშვეობით, როგორც ეს გათვალისწინებულია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის

¹ წინამდებარე დოკუმენტი ეფუძნება გულია დი მატიას მიერ მომომზადებულ კვლევასა და პირველად პროექტებს, რომლის მიმართაც წამების პრევენციის ასოციაცია გამოხატავს დიდ მადლობას მისი ფასდაუდებელი წვლილისათვის.

² წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ფაკულტატიური ოქმის შესახებ დამატებითი ინფორმაციისათვის, იხილეთ წამების პრევენციის ასოციაციის გამოცემა: წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ფაკულტატიური ოქმი: სახელმძღვანელო პრევენციისათვის.

http://www.apt.ch/component?option=com_docman/task.doc_download/gid,42/Itemid,59/lang/en/

ფაკულტატური ოქმის მე-19 მუხლით³, რათა შეეხოს იმ პრობლემებს, რომლებიც წარმოიქმნება თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებით. წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმი ასევე ურთიერთმოქმედებს გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტთან, რომელიც დაარსდა წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ფაკულტატური ოქმის ძალაში შესვლის შედეგად 2006 წლის ივნისს. წამების პრევენციის ქვეკომიტეტი შედგება ათი დამოუკიდებელი ექსპერტისაგან, რომლებიც პერიოდულად იკრიბებიან ჟენევაში, შვეიცარიაში, აწყობენ პერიოდულ ვიზიტებს წევრ სახელმწიფოებში, მაგრამ ასევე აღჭურვილნი არიან ფუნქციით, რომ გაუწიონ მათ და აგრეთვე წამების პრევენციის ეროვნულ მექანიზმებს რეკომენდაციები ამ დამოუკიდებელი მონიტორინგის ორგანოთა ფუნქციონირების სუსტი და ძლიერი მხარეების შესახებ.

წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ფაკულტატური ოქმი თითოეულ ქვეყნას აძლევს საშუალებას, რათა შექმნან წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმი საკუთარი ეროვნული გარემოებების შესაბამისად.⁴ იმ მიზნით, რათა აღნიშნული ოქმის რატიფიკაცია არ იყოს ცარიელი ფორმალობა, მხოლოდ სახელმწიფო არ უნდა განსაზღვრავდეს მის განხორციელებას, არამედ ეს პროცესი ასევე უნდა მოიცავდეს სხვა წევრებსაც ეროვნულ დონეზე, კერძოდ ადამიანის უფლებათა დამცველებს. მოკლედ, წევრი სახელმწიფოები ფართოდ უნდა გადიოდნენ კონსულტაციებს წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის შექმნაზე, რათა გარანტირებულ იქნას ეფექტური მონიტორინგის მექანიზმის მიღება. უფრო მეტიც სამოქალაქო საზოგადოების წევრებთან ნამდვილი კონსულტაციები უზრუნველყოფს, როგორც წამების წინააღმდეგ ეროვნული მექანიზმის განსაზღვრის პროცესის, ასევე თავად დაწესებულების ლეგიტიმურობასა და სანდოობას. უნდა აღინიშნოს, რომ წამების პრევენციის ასოციაციამ (APT) მის პირველ წლიურ ანგარიშში ასევე გაუსვა ხაზი ამ მნიშვნელოვან მომენტს: *“წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმი უნდა შეიქმნას დაარსების საჯარო, ფართო მონაწილეობის უზრუნველყოფი და გამჭვირვალე პროცესით, წამების პრევენციაში სამოქალაქო საზოგადოების და სხვა მოქმედი პირების ჩართვით; როდესაც არსებული ორგანო მთავრდება წამების პრევენციის ეროვნულ მექანიზმად, საკითხი უნდა იყოს ღია დებატებისათვის, რომელშიც ასევე ჩართული იქნა სამოქალაქო საზოგადოება.”*⁵ და ბოლოს, როგორც ეს ამ დოკუმენტშია მოცემული, სამოქალაქო საზოგადოების წევრებს ასევე გადამწყვეტი როლი შეუძლიათ შეასრულონ წამების პრევენციის ეროვნულ მექანიზმში, მისი ფუნქციონირებისას.

დოკუმენტი გაყოფილია სამ ძირითად ნაწილად: *სამოქალაქო საზოგადოების როლი ქვეყნის წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის განსაზღვრის პროცესში; სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა წამების პრევენციის*

³ წამების პრევენციის ეროვნულ მექანიზმებთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ წამების პრევენციის ასოციაციის კრებული: *სახელმძღვანელო წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმების შექმნისა და დანიშვნის შესახებ.*

http://www.apr.ch/component/option.com_documan/task.doc_download/gid.102/itemid.59/lang.en/

⁴ წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ფაკულტატური ოქმის თითოეულ წევრ და ხელმძღვანელ სახელმწიფოში წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმების დაარსებისა და დანიშვნის სტატუსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია შესაძლოა იხილოთ წამების პრევენციის ასოციაციის ქვეყნების მიხედვით წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის სტატუსის შესახებ მოკლე ანგარიშში.

http://www.apr.ch/component/option.com_documan/task.doc_download/gid.124/itemid.59/lang.en/

⁵ იხილეთ გაეროს დოკუმენტი. CAT/C/40/2, 25 აპრილი 2008 წ. - პარაგრაფი 28 (ი).

ეროვნული მექანიზმის სხვადასხვა მოდელის პირობებში; და სამოქალაქო საზოგადოების წევრები წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის გარეთ. პირველი ყურადღებას უთმობს წამების პრევენციის მექანიზმის განსაზღვრის ყველა მნიშვნელოვან პროცესს, მაშინ როცა მეორე და მესამე ნაწილში გამოყოფილია წამების პრევენციის ეროვნულ მექანიზმებთან მიმართებით სამოქალაქო საზოგადოების როლი. ეს დალაგებულია შემდეგნაირად:

I. სამოქალაქო საზოგადოების როლი ქვეყნის წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის განსაზღვრის პროცესში

- ა. სამოქალაქო საზოგადოების როლი ეროვნული დიალოგის ინიცირებასა და ხელშეწყობაში;
- ბ. სამოქალაქო საზოგადოების როლი არსებული ეროვნული მონიტორინგის მექანიზმების აღწერის განხორციელებაში;
- გ. სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა რეგიონალურ დონის დიებებში;
- დ. სამოქალაქო საზოგადოებასთან წრფელი კონსულტაციების გამართვის იმპერატიულობა;
- ე. რეკომენდაციები სამოქალაქო საზოგადოებისა და მთავრობის წარმომადგენლებისათვის.

II. სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმების სხვადასხვა მოდელში

- ა. შესავალი: სამოქალაქო საზოგადოების წევრების ოფიციალური ჩართულობა წამების პრევენციის ეროვნულ მექანიზმებში;
- ბ. სამოქალაქო საზოგადოების წევრების მონაწილეობა წამების პრევენციის ეროვნულ მექანიზმებში ინდივიდუალურ დონეზე;
- გ. სამოქალაქო საზოგადოების წევრების, როგორც დაწესებულებების ჩართვა წამების პრევენციის ეროვნულ მექანიზმებში;
- დ. სამოქალაქო საზოგადოების წევრების, როგორც სარეკომენდაციო ორგანოს ჩართვა წამების პრევენციის ეროვნულ მექანიზმებში;
- ე. რეკომენდაციები სამოქალაქო საზოგადოებისა და მთავრობის წარმომადგენლებისათვის.

III. სამოქალაქო საზოგადოების წევრები წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმების გარეთ

- ა. სამოქალაქო საზოგადოების წევრების მონაწილეობა წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმების დანიშვნის პროცესში;
- ბ. სამოქალაქო საზოგადოების თანამშრომლობა წამების პრევენციის ეროვნულ მექანიზმებთან;
- გ. სამოქალაქო საზოგადოების, როგორც მეთვალყურის როლი;
- დ. რეკომენდაციები სამოქალაქო საზოგადოებისა და მთავრობის წარმომადგენლებისათვის.

IV. დასკვნა

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის, ტერმინი „სამოქალაქო საზოგადოება“ ეხება რიგ მონაწილეებს, რომელიც მოცავს, მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაციებს, კერძოდ, ადამიანის უფლებათა საკითხებზე მომუშავე

არასამთავრობო ორგანიზაციებს, წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრებს, დაკავებულების/დაპატიმრებულების ოჯახის წევრთა ასოციაციებს, იურიდიული დახმარების ცენტრებს, ციხეების პასტორალურ ჯგუფებს, საზოგადოების წევრთა მიერ ვიზიტების განხორციელების ჯგუფებს, დაკავების ადგილებში მომუშავე საქველმოქმედო ან რელიგიურ ჯგუფებს, საადვოკატო და სამედიცინო ასოციაციებს, ისევე როგორც აკადემიებს.

წინამდებარე დოკუმენტის პირველი და მესამე ნაწილები (*სამოქალაქო საზოგადოების როლი ქვეყნის წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმების განსაზღვრაში და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმების გარეთ*) განიხილავს სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობას ტერმინის ფართო გაგებით, რომელიც მოიცავს ყველა ზემოხსენებულ დაწესებულებებს. აღნიშნულისაგან განსხვავებით, წინამდებარე დოკუმენტის მეორე თავი (*სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმების სხვადასხვა მოდელებში*) განიხილავს წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმების სტრუქტურას, ტერმინს იღებს უფრო ვიწრო გაგებით და უფრო მეტად ფოკუსირებას ახდენს წამების პრევენციის ეროვნულ მექანიზმებში ადამიანის უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობაზე.

I. სამოქალაქო საზოგადოების როლი ქვეყანაში წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმების განსაზღვრის პროცესში

წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის მუშაობის ეფექტურობის მიზნით, ხელისუფლების წარმომადგენლები და სამოქალაქო საზოგადოება უნდა აღიქვამდნენ მას, როგორც სანდოს და ამის განსახორციელებლად თავად პროცესი წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის დაარსებისა უნდა იყოს ფართო მონაწილეობის უზრუნველყოფი და გამჭვირვალე. ამგვარად, დისკუსიაში რაც შეიძლება უფრო ფართოდ უნდა იყვნენ წარმოდგენილნი კერძოდ სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებსაც უნდა ჰქონდეთ შესაბამისი როლი პროცესის ყველა ეტაპზე. რამდენადაც დოკუმენტი ეხება მთელ რიგ სხვადასხვა თავისუფლების შეზღუდვის ადგილებს, სხვადასხვა სპეციალიზირებული სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები უნდა იყვნენ ჩართულნი ამ პროცესში. ანალოგიურად, სამოქალაქო საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმაც მხარი უნდა დაუჭირონ წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ფაქულტატიური ოქმის დამტკიცებას, ხოლო მისი რატიფიკაცია და განხორციელება პრიორიტეტულად უნდა იქნას მიჩნეული. დოკუმენტის ამ ნაწილში მოცემულია ქვეყანაში წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის განსაზღვრის პროცესში სამოქალაქო საზოგადოების შესაძლო მოქმედებათა სხვადასხვა მაგალითები, ეროვნულ დონეზე არსებული პრაქტიკის მიხედვით.

II. სამოქალაქო საზოგადოების როლი ეროვნული დიალოგის ინიცირებასა და ხელშეწყობაში⁶

⁶ იხილეთ წამების პრევენციის ასოციაციის გამოცემის V თავი, *წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ფაქულტატიური ოქმი: სახელმძღვანელო პრევენციისათვის.*

წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ფაკულტატიური ოქმის განხორციელების შესახებ ეროვნული დიალოგის ინიცირებასა და ხელშეწყობაში სამოქალაქო საზოგადოებას გადამწყვეტი როლი აკისრია ნებისმიერ მოცემულ ქვეყანაში. სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესაძლო საქმიანობა ამ კუთხით მრავალრიცხოვანია. წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ფაკულტატიური ოქმის რეტიფიკაციის კამპანიის საწყის ეტაპზე, სამოქალაქო საზოგადოებას შეუძლია გავლენა მოახდინოს საზოგადოებრივ აზრზე დოკუმენტის სასარგებლოდ და გაუწიოს ლობირება ხელისუფლებას, რომ მოახდინოს აღნიშნული ოქმის რატიფიცირება და ეფექტური განხორციელება. როგორც პრაქტიკა ცხადყოფს ეროვნულ დონეზე ჩატარებული მრავალი მაგიდები, სემინარები და კონფერენციები, ძალზედ სასარგებლოა ამ საკითხებთან დაკავშირებით ეროვნული მასშტაბით განხილვის ინიცირებასა და ხელშეწყობაში და სხვა ეროვნულ მონაწილეებთან იდეებისა და სტრატეგიის გაზიარებაში. ქვეყნების მრავალი მაგალითია, სადაც სამოქალაქო საზოგადოებამ გაუწია ორგანიზება ან მონაწილეობა მიიღო ამგვარ შეხვედრებში. რეგიონალურმა მრავალმა მაგიდებმა სემინარებმა და შეხვედრებმაც ასევე აჩვენეს მათი მნიშვნელობა ქვეყნებს შორის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების კუთხით და ბოლო დროს მრავალი ასეთი სამოქალაქო საზოგადოების მიერ ინიცირებული ღონისძიება იქნა გამართული (იხილეთ ქვემოთ).

რეგიონალური და ეროვნული ფორუმების ორგანიზებასთან ერთად, სამოქალაქო საზოგადოების წევრებმა ხელი შეუწყვეს ე.წ. „წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ფაკულტატიური ოქმის ფოკუს ჯგუფების“ ან “სხენებული ოქმის სამუშაო ჯგუფების“ შეკრებას და მიიღეს მასში მონაწილეობა. აღნიშნულის მიზანს წარმოადგენდა წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ფაკულტატიური ოქმის განხორციელების სამართლებრივი და სამოქმედო ასპექტების შესწავლა და სახელმწიფოსათვის რეკომენდაციების გაწევა. ამგვარი ფოკუს ჯგუფებში ან სამუშაო ჯგუფებში ხშირად მონაწილეობდნენ სხვადასხვა სფეროს სპეციალისტები, როგორებიცაა იურისტები, ექიმები, აკადემიკოსები, მოსამართლეები, მთავრობის წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ასევე პირები და ორგანოები, რომლებიც უკვე ახორციელებენ თავისუფლების შეზღუდვის ადგილების მონიტორინგს. მათ ასევე დაამტკიცეს მათი გადამწყვეტი როლი მოლაპარაკებებისა და ნდობის შექმნის ხელშეწყობაში სამოქალაქო საზოგადოებას და შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებებს შორის, რომლებიც უშუალოდ არიან პასუხისმგებელნი წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის განსაზღვრაზე. გამოცდილებამ აჩვენა, რომ ამგვარი ფართო მასშტაბიანი დიალოგის ხელშეწყობას შეუძლია მნიშვნელოვნად გააძლიეროს ზემოხსენებული ოქმის განხორციელებაზე კამპანიის გავლენა.

ბენინისა და ესპანეთის შემდეგი ორი მაგალითი ნათლად ასახავს სამოქალაქო საზოგადოების როლს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ფაკულტატიური ოქმის განხორციელების საკითხთან დაკავშირებით. ორივე შემთხვევაში, ცნობილმა ადამიანის უფლებათა დამცველმა ორგანიზაციებმა, როგორც ორგანიზაციის მიზანი პრიორიტეტულად მიიჩნიეს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ

გაეროს კონვენციის ფაკულტატიური ოქმი, და დოკუმენტის განხორციელებასთან დაკავშირებით მოახდინეს ეროვნული განხილვის ინიცირება და ხელშეწყობა.

ბენინში წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ფაკულტატიური ოქმის თაობაზე ეროვნული განხილვის ინიცირება

2005 წლიდან ბენინის Amnesty International-ის წარმომადგენლობამ და ბენინის ქრისტიანთა აქციებმა წამების აკრძალვაზე, გადამწყვეტი როლი შეასრულეს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ფაკულტატიური ოქმის განხორციელებაზე ქვეყანაში ეროვნული განხილვის ხელშეწყობაში. ორმა ორგანიზაციამ ხელი შეუწყო სამოქალაქო საზოგადოებასა და მთავრობას შორის საწყის დიალოგს, რატიფიკაციის პროცესის განმავლობაში კონფერენციებისა და სემინარების ორგანიზებით. ამ საწყისმა სამუშაოებმა ასევე ხელი შეუწო მთავრობასაც, რომ ამ საკითხებთან დაკავშირებით აელო ინიციატივა და 2007 წლის ივლისში, წამების პრევენციის ასოციაციასთან ერთად, ორგანიზება გაუწია წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის შექმნაზე სემინარის მოწყობას, რომელშიც მონაწილეობდა დაახლოებით 30 დაინტერესებული წევრი. ამ სემინარის შედეგად, შეიქმნა 9 წევრისაგან შემდგარი მრავალპროფილიანი სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელთა შორის იყვნენ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებიც. სამუშაო ჯგუფის მიზნებს წარმოადგენს წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის შესახებ კანონმდებლობის შემუშავება, პარლამენტში მისი მიღების ღობირება და წამების პრევენციის ეროვნულ მექანიზმში მისაღები კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე წევრების დანიშვნის უზრუნველყოფა. შესაბამისად, ბენინის სამოქალაქო საზოგადოებისა და მთავრობის კომბინირებულმა ძალისხმევამ შედეგად მოიტანა ყოვლისმომცველი – ეროვნული განხილვა წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ფაკულტატიური ოქმის განხორციელების საკითხებზე, რომელმაც ამ დროისათვის ნათლად შექმნა გარკვეული პოზიტიური შედეგები.

ესპანეთში წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ფაკულტატიური ოქმის თაობაზე ეროვნული განხილვის ინიცირება

ესპანეთი წარმოადგენს უნიკალურ მაგალითს, სადაც შეიქმნა არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია ექსკლუზიურად წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ფაკულტატიური ოქმის განხორციელების მიზნით. აღნიშნული ოქმის განხორციელებაზე სამოქალაქო დისკუსიები ინიცირებულ იქნა ჯერ კიდევ 2004 წელს, როცა 37 არასამთავრობო ორგანიზაცია გაერთიანდა წამების პრევენციის ქსელში, რათა სხვა საკითხებთან ერთად ხელი შეეწყო დოკუმენტის რატიფიცირებისათვის. მას შემდეგ ქსელი აქტიურად უწყობდა ხელს წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის პროცესს, წამების პრევენციის ეროვნულ მექანიზმზე წინადადებების შემუშავებით და ესპანეთის მთავრობასთან ერთად მრავალმხრივ შეხვედრებში მონაწილეობით. აგრეთვე მრავალი ღონისძიება

მიეძღვნა ესპანეთის წამების პრევენციის ეროვნულ მექანიზმს. მაგალითად, 2007 წლის ოქტომბერს ქსელის წარმომადგენლებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს პირველ ოფიციალურ ეროვნულ შეხვედრაში, რათა განეხილათ ქვეყანაში წამების წინააღმდეგ ეროვნული მექანიზმის დანიშვნის საკითხი, შეხვედრა მოწვეულ იქნა საგარეო საქმეთა, შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროების მიერ. ეროვნულ კონტექსტში, სადაც ჩვეულებრივ განიხილებოდა წამების საკითხები სამთავრობო და არასამთავრობო წარმომადგენლების მიერ, ქსელი ისევ აგრძელებს ლობირებას და მოლაპარაკებას ესპანეთის მთავრობასთან, რათა რაც შეიძლება მალე იქნას შემუშავებული წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ფაკულტატური ოქმის შესაბამისობაში მყოფი წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმი. მიუხედავად წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის საბოლოო შედეგისა, ქსელი მიიჩნევს, რომ მისი მონაწილეობა ამ და სხვა წამების პრევენციის საკითხებში თავისთავად მნიშვნელოვანი იყო.

ბენინისა და ესპანეთის მაგალითების გარდა, წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის შექმნის პროცესში ეროვნულ დონეზე სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის მრავალი სხვა მაგალითი არსებობს. მაგალითად, პარაგვაის გამოცდილება წამების აკრძალვის საკითხებში გაეროს სპეციალური მომხსენებლის მიერ აღიარებულ იქნა, როგორც კარგი პრაქტიკა და სხვა დანარჩენთან ერთად გამოიწვია შესაბამისი პროცესები ბენინში. ქვეყანაში წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის შემუშავების კომიტეტი, რომელიც შედგებოდა სახელმწიფო და სამოქალაქო წარმომადგენლებისაგან, დაარსდა კონსესუსის საფუძველზე წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო ფორუმზე.

მეორე სათანადო მაგალითს წარმოადგენს ჰონდურასი, სადაც ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციამ *Centro para la Prevención, Tratamiento y Rehabilitación de las Víctimas de la Tortura y sus Familiares (CPTRT)*, მოახდინა ეროვნული წარმომადგენლების მობილიზება წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ფაკულტატური ოქმის ერთობლივი კამპანიის წარმოების მიზნით, რამაც გამოიწვია დოკუმენტის მე-20 რატიფიკაცია. შემდგომ, ორგანიზაციამ მიაღწია იმას, რომ დაეყოლიებინა კონგრესის ადამიანის უფლებათა კომისია ჩართულიყო წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის კანონის შემუშავების პროცესში, რომელიც ითვალისწინებდა სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობას. წამების პრევენციის აღნიშნულ ეროვნულ მექანიზმზე უფრო დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია წამების პრევენციის ასოციაციის ვებგვერდზე წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის სტატუსის შესახებ მოკლე ანგარიშებში ქვეყნების მიხედვით.⁷

იხ. სამოქალაქო საზოგადოების როლი არსებული ეროვნული მონიტორინგის მექანიზმების აღჭურვის განხორციელებისას

ზემოთ მოცემულ კონტექსტში, მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლი სახელმწიფოსათვის ტექნიკური რეკომენდაციების გაწევის საკითხში იმის თაობაზე თუ წამების პრევენციის

⁷ იხილეთ წამების პრევენციის ასოციაციის ვებ გვერდი, რომელიც ახლდება რეგულარულად: http://www.apr.ch/component?option=com_docman/tasks.doc_download/gid,124/item,59/lang,en/

როგორი ეროვნული მექანიზმი უნდა შეიქმნას წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ფაკულტატიური ოქმის შესაბამისად. აუცილებელია, რომ მათ უზრუნველყონ წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის შესაბამისობა ზემოხსენებული ოქმის მოთხოვნებთან, კერძოდ, მის მე-17 და 23-ე მუხლებთან, რომლებიც სხვა მუხლებთან ერთად ეხება წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმისა და მისი წევრების დამოუკიდებლობას, პროფესიონალიზმს, შემადგენლობას, ფუნქციებს, ძალაუფლებას, უფლებამოსილებებს, პრივილეგიებს და იმუნიტეტს.

ეს ამოცანა მიღწევადია ქვეყანაში უკვე არსებულ მონიტორინგის ეროვნულ ორგანოებზე, ასევე ქვეყანაში არსებულ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების რაოდენობასა და ტიპებზე კვლევის ან შემოწმების ჩატარების გზით. არსებული თავისუფლების შეზღუდვის ადგილებისა და მექანიზმების შესახებ ფაქტობრივი ინფორმაცია, წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის განსაზღვრის პროცესში ჩართულ მონაწილეებს დაეხმარება შეაფასონ არსებული ორგანოების ძლიერი და სუსტი მხარეები ფაკულტატიური ოქმის მინიმალურ მოთხოვნებთან მიმართებით, გამოარკვიონ თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში მონიტორინგის ორგანოების მიერ განხორციელებული საქმიანობის არსებული ხარვეზები და შეაფასონ წამების პრევენციის პოტენციური მექანიზმისათვის საჭირო ადამიანური და ფინანსური რესურსები. ქვემოთ მოცემული სამხრეთ აფრიკის პრეცედენტი ადგილობრივ წარმომადგენელთა, მათ შორის, არასამთავრობო ორგანიზაციებს მიერ, ეროვნულ დონეზე განხორციელებული შემოწმების ჩატარების ძალიან კარგი მაგალითია.

სამხრეთ აფრიკის თავისუფლების შეზღუდვის ადგილების მონიტორინგის მექანიზმების აუდიტი

2006 წელს სამხრეთ აფრიკის ადამიანის უფლებათა კომისიის მიერ, ეროვნულ არასამთავრობო ორგანიზაციასთან „ძალადობისა და შერიგების სწავლის ცენტრთან“ თანამშრომლობით განხორციელდა არსებული ეროვნული მონიტორინგის მექანიზმების აღწერა - მიმოხილვა. შესწავლილ იქნა ქვეყანაში არსებული შესაბამისი ორგანოები, მათი ძლიერი და სუსტი მხარეები წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ფაკულტატიური ოქმის შესაბამისად და შეთავაზებულ იქნა წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის ალტერნატიული მოდელები. აღწერის გამოქვეყნებიდან სამხრეთ აფრიკის ადამიანის უფლებათა კომისიამ და ძალადობისა და შერიგების სწავლების ცენტრმა მოიწვიეს სემინარი, რათა განეხილათ კვლევის წინასწარი აღმოჩენები და რეკომენდაციები. სემინარის შედეგად დაფუძნდა ფართო წარმომადგენლობის მქონე წამების წინააღმდეგ ე.წ. საგანგებო კომიტეტი, რომელსაც კოორდინაციას უწევდა სამხრეთ აფრიკის ადამიანის უფლებათა კომისია და სხვა მანდატებთან ერთად გააჩნდა წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ფაკულტატიური ოქმის რატიფიკაციისა და ეფექტური წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის დაარსების ხელშეწყობის მანდატი. წამების პრევენციის ასოციაციამ შეთანხმება გააფორმა სამხრეთ აფრიკის ადამიანის უფლებათა კომისიასთან, რათა აღმოეჩინა ტექნიკური დახმარება კომიტეტისათვის მისი მანდატის შესასრულებლის მიზნით.

როგორც სამხრეთ აფრიკის მაგალითიდან ჩანს, ამგვარი ინვენტარიზაცია აგრეთვე საშუალებას აძლევს მონაწილეებს გადაწყვიტონ საჭიროა თუ არა დანიშნონ ერთი ან მეტი არსებული ორგანიზაცია. უფრო მეტიც, მსგავსი ინვენტარიზაცია განხორციელდა ბრაზილიასა და მექსიკაში. უნდა აღინიშნოს, რომ არსებული მექანიზმების დანიშვნის პროცესი ყოველთვის მოითხოვს მისი მანდატის, უფლებამოსილების, დამოუკიდებლობის, წევრობის, ძალაუფლებისა და გარანტიების ფაქიზ და დეტალურ განხილვას, რათა სრულად შეესაბამებოდეს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ფაკულტატიური ოქმის მოთხოვნებს. თითქმის ყველა შემთხვევაში იქნება აუცილებელი გარკვეული ცვლილებების შეტანა კანონმდებლობაში და/ან რესურსების გაზრდა, ასევე ცვლილებების განხორციელება სტრუქტურასა და/ან მეთოდოლოგიაში.⁸

I გ. სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა რეგიონალურ ღონისძიებებში

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, სამოქალაქო საზოგადოების მიერ ეროვნული სემინარების, მრგვალი მაგიდებისა და კონფერენციების ორგანიზების, ასევე წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ფაკულტატიური ოქმის სამუშაო ჯგუფებსა და ფოკუს ჯგუფებში მონაწილეობის გარდა, ფასდაუდებელი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე რეგიონალურ დონეზე განხორციელებულ ღონისძიებებს, როგორც წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ფაკულტატიური ოქმის განხორციელების ხელშეწყობის საშუალებებს. რამდენადაც, რამოდენიმე სახელმწიფოში წამების პორევენციის ეროვნული მექანიზმის განსაზღვრისას შესაძლოა წამოიჭრას საერთო სადაო და სხვა შესაბამისი საკითხები, რეგიონალური ღონისძიებების განხორციელება შეიძლება მისაღები იყოს სტრატეგიისა და გამოცდილების გაზიარების კუთხით, რომელიც მიზანმიმართული იქნება ფაკულტატიური ოქმის რატიფიკაციისა და განხორციელების ხელშეწყობისაკენ. ამ კუთხით სამოქალაქო საზოგადოებას მნიშვნელოვანი როლი აკისრია, რათა ერთად მოიწვიოს სხვადასხვა შესაბამისი წარმომადგენლები, ეროვნულ დონეზე ვიზიტის მექანიზმების დაარსებისათვის განვიღო და მიმდინარე ძალისხმევაზე ინფორმაციის გაზიარების მიზნით. ამგვარ რეგიონალურ შეხვედრებზე ასევე გამართულა საუკეთესო პრაქტიკის საინტერესო და საჭირო განხილვები და ამ ღონისძიებებში მონაწილე სახელმწიფოთა შორის შექმნილმა წევრთა გავლენამ შესაძლოა ხელი შეუწყოს ეროვნული პროცესების მობილიზებას ან წინ წაწევას.

ამ დადებითი ასპექტების მიუხედავად, მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ რეგიონალურ ღონისძიებებს, მათი პოტენციურად ფართო გეოგრაფიული მასშტაბისა და ამგვარი ღონისძიებებისათვის გამოყოფილი შეზღუდული დროის გამო, შესაძლოა ჰქონდეთ ნაკლებად ანალიტიკური მნიშვნელობა, ვიდრე ეროვნულ დონეზე ჩატარებულ ღონისძიებებს. მათ ასევე ანახეს, რომ აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება უფრო სასარგებლოა მაშინ, როდესაც ეროვნული პროცესები უკვე მიმდინარეობს. თუმცა, როგორც შემდეგი მაგალითებიდან ჩანს, ისინი პოტენციურად ძალზედ საჭირო ღონისძიებებია.

⁸ დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ წამების პრევენციის ასოციაციის გამოცემის მე-10 თავი: წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმების დაარსებისა და დანიშვნის სახელმძღვანელო.

სამხრეთ ამერიკაში წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ფაკულტატიური ოქმის ეფექტური განხორციელების ხელშეწყობა

2007 წლის 29 მაისს მსოფლიოში პირველი რეგიონალური სემინარი წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ფაკულტატიური ოქმის განხორციელების თაობაზე ჩატარდა ასუსიონში, პარაგვაიში, რეგიონალური ბლოკის – MERCOSUR-ის უმაღლესი დონის ხელისუფალთა შეხვედრის ფარგლებში. ერთდღიანი შეხვედრა ორგანიზებული იყო პარაგვაის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და წამების პრევენციის ასოციაციის მიერ პარაგვაის ადამიანის უფლებათა არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელის CODEHUPY-სა და ინტერ ამერიკული ადამიანის უფლებათა ინსტიტუტის დახმარებით. არგენტინის, ბოლივიის, ბრაზილიის, ჩილეს კოლუმბიის, ეკვადორის, პარაგვაის, პერუს, ურუგვაისა და ვენესუელის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა ინფორმაცია მიაწოდეს მონაწილეებს, თუ როგორ ხორციელდებოდა წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ფაკულტატიური ოქმი მათ ეროვნულ კონტექსტში. ასევე გაიმართა დებატები აღნიშნული ოქმის განხორციელებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით სხვადასხვა მონაწილეების შორის, რომელშიც ასევე შედიოდნენ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, აგრეთვე საერთაშორისო ექსპერტები და მათ შორის წამების პრევენციის ასოციაციის წევრებიც. დონისძიება მნიშვნელოვანი იყო, რომ განეხილათ წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმების ჩამოყალიბებისაკენ გადადგმული ნაბიჯები, რეგიონში, რომელთაც ისტორიულად წამების კვალი ამჩნევია. უფრო მეტიც, თავის დასკვნაში ამ სახელმწიფოთაშორისმა შეხვედრამ აღიარა, რომ „წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის შექმნის პროცესის ხარისხი და შინაარსი აუცილებელია წამების პრევენციის შესაძლო ეროვნული მექანიზმების სოციალური ლეგიტიმაციისა და ეფექტურობისათვის“, წამების პრევენციის ასოციაციის ყოველწლიური ანგარიშის მსგავსად, აღნიშნა, რომ ამგვარი პროცესები არის „ფართომასშტაბური და გამჭვირვალე და ეფუძნება სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის ფართო დიალოგსა და თანამშრომლობას“.⁹

ევროპაში წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ფაკულტატიური ოქმის განხორციელების ხელშეწყობა

ევროპაში, პირველი რეგიონალური სემინარი, წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ფაკულტატიური ოქმის განხორციელებასთან დაკავშირებით, გაიმართა 2007 წლის 12-13 ნოემბერს, სომხეთში და ორგანიზებულ იყო სომხეთის ჰელსინკის ასოციაციის, ბულგარეთის ჰელსინკის კომიტეტისა და ფონდ ღია საზოგადოების დახმარების ინსტიტუტის მიერ. რამოდენიმე ევროპული და ცენტრალური აზიის სახელმწიფოთა წარმომადგენლები შეიკრიბნენ სომხეთის დედაქალაქ ერევანში, რათა განეხილათ წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი

⁹ დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ უმაღლესი დონის ადამიანის უფლებათა ორგანოს MERCOSUR-სა და გაერთიანებულ სახელმწიფოთა შორის პროცესი №02/07, მაისი 2006წ.

მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ფაკულტატიური ოქმის ეროვნულ დონეზე განხორციელების საუკეთესო პრაქტიკა. ისეთმა განსხვავებული ქვეყნების წარმომადგენლებმა, როგორებიცაა ბულგარეთი, საქართველო, მაკედონია, მოლდოვა, მონტენეგრო, ტაჯიკეთი და უკრაინა წარმოადგინეს შესაბამის ქვეყნებში დამოუკიდებელი თავისუფლების შეზღუდვის მონიტორინგისა და წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმების ჩამოყალიბების განხილვის თავიანთი განსხვავებული გამოცდილება. რეგიონალურ კონტექსტში ინფორმაციის გაზიარება ფასდაუდებელი იყო და მონაწილეებს გაუჩნდათ ახალი იდეები, თუ როგორ მიდგომოდნენ ზემოხსენებული ოქმის განხორციელების საკითხებს.

I დ. სამოქალაქო საზოგადოებასთან კონსულტაციების გამართვის იმპერატიულობა

იმ მიზნით, რათა გარანტირებულ იქნას ნამდვილი ეროვნული დიალოგი წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ფაკულტატიური ოქმის განხორციელებაზე სავალდებულოა, რომ ეს პროცესი იყოს წრფელი და ღია. იმ მიზნებისათვის, რომლებიც მოცემულია ამ დოკუმენტის შესავალ ნაწილში, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სხვა სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შეუძლიათ ფასდაუდებელი წვლილი შეიტანონ წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმების ჩამოყალიბებაში ნებისმიერ მოცემულ ქვეყანაში. შესაბამისად, აღნიშნულის განსახორციელებლად საჭიროა ხელისუფლების მხრიდან ნამდვილი ნების გამოვლენა, რათა ჩაერთონ სამოქალაქო საზოგადოებასთან მიზანმიმართულ დიალოგში დოკუმენტის განხორციელების პროცესში და შემდგომ ეს წვლილი მთავრობის მიერ გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში იქნას მიღებული.

მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საზოგადოებასთან დიალოგი მიჩნეულია, რომ წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის ჩამოყალიბების პროცესს ლეგიტიმურობასა და ნდომას მატებს, სამწუხაროდ არსებობს ხელისუფლებათა მაგალითები, რომლებმაც დიალოგის საწყის ეტაპზე ჩართეს სამოქალაქო საზოგადოება შემდგომში შეზღუდული შესაძლებლობებით ან იგნორირება გაუკეთეს მათ რეკომენდაციებისა და შენიშვნებს. ასეთ შემთხვევებში დიალოგი იყო მკვეთრად სიმბოლური და მიზანმიმართული, რომ შეენიღბა მთავრობის ნამდვილი განზრახვები დოკუმენტის განხორციელებასთან დაკავშირებით. ქვემოთ მოცემული მაგალითი გამოხატავს ამგვარ არასწორ მიდგომას ეროვნული დიალოგის ჩატარებაზე.

მექსიკის ეროვნული მექანიზმის დანიშვნის საპირისპირო პროცესი

გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის მექსიკის ოფისი, მექსიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ეგიდითა და წამების პრევენციის ასოციაციის ტექნიკური დახმარებით, ორი წლის განმავლობაში აწარმოებდა კონსულტაციებს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ფაკულტატიური ოქმის იმპლემენტაციასთან დაკავშირებით, რომელიც მოიცავდა ოთხ სემინარს. აღნიშნულ პროცესში მონაწილეობა მიიღო ამ ფედერალური სახელმწიფოს რიგმა მონაწილეებმა, მათ შორის, საერთაშორისო ექსპერტებმა, ისევე როგორც სხვადასხვა შესაბამისი სამინისტროების, არასამთავრობო ორგანიზაციების, უნივერსიტეტების ადამიანის უფლებათა ეროვნული კომისიისა და მექსიკის

სახელმწიფოში არსებული მისი ექვივალენტური ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. აღნიშნული ტიპიური საჯარო პროცესის დასკვნებს შორის იყო შემდეგი: მაშინ როცა წამების პრევენციის ეროვნულ მექანიზმს უნდა გამოეყენებინა მონიტორინგის არსებული ორგანოების პრაქტიკა და ინფრასტრუქტურა, მისი ფუნქციების მოცულობა იმდენად დიდი და რთული იყო, რომ ისეთი ფედერალური სტრუქტურის მქონე ქვეყნისთვის, როგორცაა მექსიკა, ვერცერთი დამოუკიდებელი დაწესებულება ვერ შეძლებდა წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის სახით ფუნქციონირებას. მიუხედავად ამისა, მექსიკაში ხელისუფლების ცვლას და წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის დანიშვნის ერთწლიანი ვადის გასვლის მოახლოებას მოჰყვა პარალელურად დახურულ კარს მიღმა მოლაპარაკებების პროცესი სხვადასხვა სამინისტროებთან, რომელიც ინიცირებული იყო მექსიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ. აღნიშნულს შედეგად მოჰყვა მათსა და არსებულ ადამიანის უფლებათა ეროვნულ კომისარს შორის შეთანხმების გაფორმება, რომელიც ამ უკანასკნელს აკისრებდა წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციებს. ეს საპირისპირო გადაწყვეტილება კითხვის ნიშნის ქვეს დაისვა მთელი რიგი სამოქალაქო საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებული მინაწილეების, მათ შორის წამების პრევენციის ასოციაციის მიერ. ამ რთული დასაწყისის მიუხედავად, დანიშნულმა წამების პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა დაიწყო ვიზიტების განხორციელება და აღმოაჩინა, რომ პრაქტიკაში, მისივე ინტერესებში შედიოდა სამოქალაქო საზოგადოების წევრებსა და ასევე რეგიონალურ სახელმწიფოებში არსებულ ინდივიდუალურ ადამიანის უფლებათა კომისიებთან თანამშრომლობა, მისი უფრო ეფექტურად ფუნქციონირების მიზნით.

ამგვარად, იმისათვის, რათა გაიზარდოს წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის სანდოობა, მისი განსაზღვრის პროცესი უნდა იყოს აზრთა გაცვლის ფორმით და რეალურად უნდა მიიღოს მხედველობაში შესაბამისი დაინტერესებული მხარეების, მათ შორის, სამოქალაქო საზოგადოების მოსაზრებები და წინადადებები. შესაბამისად, მთავრობები მხოლოდ წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის განსაზღვრის პროცესში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობის რეკლამირებით კი არ უნდა შემოიფარგლოს, არამედ ნამდვილად უნდა იყონ მონდომებულნი, რათა განიხილონ ამ პროცესში ჩართული მონაწილეების მიერ შეთავაზებული ალტერნატიული მოსაზრებები და მოდელები.

და ბოლოს, რათა შენარჩუნებულ იქნას მიზანმიმართული ეროვნული დიალოგი მთავრობასა და შესაბამის წარმომადგენლებს შორის სახელმწიფოს ვალდებულება წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ფაკულტატიური ოქმის განხორციელებისათვის ნათლად უნდა განისაზღვროს. უმეტეს ქვეყნებში ეს მიღწეულია ინდივიდუალურ სამინისტროებზე პასუხისმგებლობების დელეგირებით, ხშირ შემთხვევაში იუსტიციის ან საგარეო საქმეთა სამინისტრო, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში - სამინისტროთაშორისი კომისიაზე. უფრო მეტიც, ეს დანიშნული ორგანოები, ნათლად გამოხატავენ თავიანთ განზრახვებს წამების პრევენციის ეროვნულ მექანიზმის პროცესთან დაკავშირებით. სამწუხაროდ, არის ქვეყნების მაგალითები, სადაც ეს არ მომხდარა და ამასთან დაკავშირებით არ არის ნათლად განსაზღვრული პასუხისმგებლობის საკითხები. შედეგად ძალიან რთულია სამოქალაქო საზოგადოებისათვის მთავრობასთან ამ საკითხებზე კონსტრუქციული დიალოგის დაწყება, რასაც შესაბამისად ასახავს საქართველოს ქვემოთ მოცემული მაგალითი.

საქართველოს ცალმხრივი დიალოგი წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის თაობაზე

2006-2008 წლებში საქართველოში მოქმედი რიგი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ იქნა რვა მრგვალი მაგიდის შეხვედრა, კერძოდ, „ციხის საერთაშორისო რეფორმის“ თბილისის რეგიონალური ოფისის (PRI), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის, გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში - საქართველოს ფილიალისა (GIP) და წამების პრევენციის ასოციაციის (APT) მონაწილეობით, რათა შეესწავლათ წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ფაკულტატიური ოქმის შესაძლო იმპლემენტაციის საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ რიგი სამინისტროების წარმომადგენლების უმეტესობა ამ ღონისძიებებს ესწრებოდა, ამ საკითხზე მიზანმიმართული ეროვნული დიალოგის დაწყების პროცესს მნიშვნელოვნად უშლიდა ხელს ის ფაქტი, რომ საქართველოს ხელისუფლების მხრიდან დოკუმენტის იმპლემენტაციასთან დაკავშირებით არანაირი პასუხისმგებლობა არ არსებობდა. ამ პერიოდის განმავლობაში არაერთგზის მტკიცდებოდა, რომ უადრესად რთული იყო იმის დადგენა, ამ საკითხთან დაკავშირებით, რომელ სამინისტროში ვინ იყო პასუხისმგებელი და როგორც წესი, მთავრობის მხრიდან არ იყო გარკვეული მხარე ვისთან ერთადაც შესაძლებელი იქნებოდა საკითხის განხილვა. ეს მდგომარეობა პრაქტიკულად გამოსწორდა მთავრობის მიერ 2007 წლის ივნისში წამების წინააღმდეგ ღონისძიებების განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს შექმნის შემდეგ, რათა გადაეხედათ ამისათვის და ასევე სხვა ადამიანის უფლებათა საკითხებისათვის. სამწუხაროდ, ეს ორგანო მხოლოდ იშვიათად იკრიბებოდა და საქართველოს წამების პრევენციის მექანიზმის საკითხი არ გადაწყვეტილა 2008 წლის მარტამდე, იმ დრომდე სანამ ხელისუფლება არ აღმოჩნდა ზღვარზე, რომ ცალსახად განესაზღვრა საქართველოს სახალხო დამცველი, როგორც წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმი. საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების არაერთგზის მოწოდება, 2006-2008 წლების განმავლობაში, ყოფილიყო ჩართული წამების პრევენციის მექანიზმის შექმნის პროცესში, ისევე, როგორც თავად საბოლოო მექანიზმში, საქართველოს ხელისუფლების მხრიდან იგნორირებულია.

I ე. რეკომენდაციები სამოქალაქო საზოგადოებისა და მთავრობის წარმომადგენლებისათვის

სამოქალაქო საზოგადოებას:

- სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა დაბეჯითებით უნდა მოითხოვონ წამების პრევენციის მექანიზმის განსაზღვრის ეროვნულ პროცესში ჩართვა, კერძოდ წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ფაკულტატიური ოქმის იმპლემენტაციაზე პასუხისმგებელ სამინისტროსთან კონტაქტით;
- სამოქალაქო საზოგადოებამ, პრაქტიკულად ხელი უნდა შეუწყოს განხორციელების პროცესს, შესაბამისი გადაწყვეტილებების მიმღებთა ფაკულტატიური ოქმის ეფექტური იმპლემენტაციის შესახებ რეკომენდაციებითა და ინფორმაციით უზრუნველყოფის გზით. ამგვარი ინფორმაცია და რეკომენდაცია შესაძლოა შეიცავდეს კვლევას არსებული მონიტორინგის მექანიზმების სუსტი და ძლიერი მხარეების შესახებ აღნიშნული ოქმის მოთხოვნასთან მიმართებით და ასევე წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმების შესახებ ალტერნატიულ წინადადებებს;

- სამოქალაქო საზოგადოებამ უნდა უზრუნველყოს ნებისმიერი ექსპერტული კვლევის ადეკვატური განხილვა, როლის უფლებამოსილებაც მათ მიენიჭათ მთავრობის მიერ;
- სამოქალაქო საზოგადოებამ ასევე შესაძლოა მოისურვოს ინიციატივის აღება, ეროვნული დიალოგის გააღვივებისა და გაფართოების მიზნით, ხელისუფლებასთან სემინარების, მრგვალი მაგიდებისა და სხვა შეხვედრების დაფინანსების ან თანადაფინანსების, ასევე წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ფაკულტატური ოქმის ნებისმიერი სამუშაო და ფოკუს ჯგუფებში მონაწილეობის გზით;
- სამოქალაქო საზოგადოებამ უნდა გაითვალისწინოს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ფაკულტატური ოქმის განხორციელებისაკენ მიმართული რეგიონალური ღონისძიების თანადაფინანსების ან მასპინძლობისაგან მიღებული სარგებელი;
- წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმების დანიშვნის ან დაარსების პროცესში, სამოქალაქო საზოგადოებამ ხელი უნდა შეუწყოს წამების მსხვერპლთა, თავისუფლებაშეზღუდულ პირთა და ყოფილ ამგვარ პირთა ან მათი ოჯახის წევრთა ასოციაციების უშუალო მონაწილეობას.

მთავრობებს:

- მთავრობებმა, ქვეყნის წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის განსაზღვრის მთელი პროცესის მანძილზე, კონსულტაციები უნდა გაიარონ სამოქალაქო საზოგადოებასთან;
- მთავრობებმა აქტიური კონტაქტი უნდა იქონიონ ყველა შესაბამის სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, კერძოდ ისეთებთან, რომლებსაც გააჩნიათ შესაბამისი გამოცდილება თავისუფლებაშეზღუდული პირების უფლებათა დაცვის სფეროში;
- მთავრობებმა სამოქალაქო საზოგადოება უნდა განიხილოს, როგორც მონაწილენი, რომლებიც მნიშვნელოვნად გაზრდიან წამების პრევენციის ეფექტური და სანდო ეროვნული მექანიზმის პრაქტიკაში განსაზღვრის ან შექმნის შესაძლებლობებს;
- მთავრობებმა უნდა განიხილონ წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ფაკულტატური ოქმის მოთხოვნებთან მიმართებაში არსებული მონიტორინგის მექანიზმების ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ დამოუკიდებელ ექსპერტთა კვლევების გამოყენების საკითხი. ამგვარი კვლევები ხელს შეუწყობს წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმების საბოლოო განსაზღვრის პროცესის შევსებას;
- მთავრობებმა უნდა განიხილონ რიგი ეროვნული ღონისძიებების ჩატარების საკითხი, რათა ხელი შეუწყონ წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ფაკულტატური ოქმის განხორციელების შესახებ ეროვნულ დიალოგს, რომელიც მოიცავს სემინარებისა და მრგვალი მაგიდების დაფინანსების და თანადაფინანსების შესაძლებლობასა და წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ფაკულტატური ოქმის სამუშაო და ფოკუს ჯგუფების შეკრებას, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მონაწილეობით.

II. სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის სხვადასხვა მოდელში

როგორც წინამდებარე დოკუმენტში ზემოთ არის აღნიშნული, წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ფაკულტატიური ოქმი არ ითვალისწინებს წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმების უნიკალურ ორგანიზაციულ ფორმას და შესაბამისად, სახელწიფოებს შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ და შექმნან წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმები ქვეყანაში არსებული გარემოებების გათვალისწინებით. დამოუკიდებლობის გარანტიების, ექსპერტთა შემადგენლობის მრავალფეროვნების და საჭირო უფლებამოსილების მინიჭების საკითხებზე, თითოეულ წევრ სახელმწიფოს შეუძლია შეარჩიოს მისი სოციალური, პოლიტიკური და გეოგრაფიული კონტექსტის შესაბამისი სტრუქტურა. როგორც წამების პრევენციის ასოციაციის სხვა გამოცემებში იყო განხილული, კონკრეტული დადებითი და უარყოფითი მხარე ახასიათებს როგორც პრევენციული მექანიზმის სახით ახალი ორგანოს შექმნას, ასევე უკვე არსებული ორგანოს დანიშვნას; ასევე ერთიანი მექანიზმის არსებობას მთელი ქვეყნის მასშტაბით, ან სხვადასხვა რეგიონების ან დაწესებულებებისათვის რამდენიმე მექანიზმის გამოყენებას.¹⁰

მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ქვეყანას უკვე გააჩნია ყველა თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში პრევენციული ვიზიტების განხორციელების დამოუკიდებელი სპეციალიზებული მექანიზმები, როგორც ეს გათვალისწინებულია ფაკულტატიური ოქმით, ზოგიერთ ქვეყანაში არსებულ ადგილობრივ ორგანოებს უკვე აქვთ იმის მანდატი, რომ მოაწიონ ვიზიტები კონკრეტული ტიპის სხვადასხვა თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებებში. ეს ორგანოები თეორიულად შესაძლოა გარდაიქმნას წამების პრევენციის ეროვნულ მექანიზმებად ზემოხსენებული ოქმის მიხედვით, იმის გათვალისწინებით, რომ განხორციელდება გარკვეული ცვლილებები ოქმის მიერ განსაზღვრულ კრიტერიუმებთან შესაბამისობის მიზნით. ეს მოიცავს ადმიანის უფლებათა კომისიებს, სახალხო დამცველის სამსახურებს, ისეთ სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, როგორებიცაა არასამთავრობო ორგანიზაციები, ასევე ერთიან მექანიზმს, რომელიც აერთიანებს ზემოაღნიშნულ ზოგიერთ ელემენტს. დოკუმენტის ეს ნაწილი ფოკუსირებას ახდენს პოტენციურ როლზე, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა უნდა შეასრულონ ქვეყნის ეროვნული მექანიზმთან დაკავშირებით. უნდა აღინიშნოს, რომ ქვემოთ განხილული არცერთი მიდგომა არ არის ერთი მეორეზე მნიშვნელოვანი, რამდენადაც წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის ნებისმიერი ფორმალური სტრუქტურა არ იქნება ეფექტური, თუ მისი ინდივიდუალური წევრები თავად არ იქნებიან დამოუკიდებელნი და ეფექტურები პრევენციული ვიზიტების განხორციელებისას. ამგვარად, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა ჩართვა წამების პრევენციის ეროვნულ მექანიზმებში თუნდაც მცირე მაგრამ მზარდი რაოდენობის ქვეყნებში, უნდა ჩაითვალოს დადებით მოვლენად.

და ბოლოს მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის დანიშვნა ან შექმნა არც ერთ შემთხვევაში არ უნდა იქნას გამოყენებული, როგორც სამოქალაქო საზოგადოების წევრთა თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში შესვლის შეზღუდვის ან აკრძალვის საბაბი, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის მიუხედავად. ამგვარი ნაბიჯი სრულიად მიუღებელია

¹⁰ დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ წამების პრევენციის ასოციაციის გამოცემის თავი მე-10: სახელმძღვანელო ეროვნული პრევენციული მექანიზმების, ეროვნული ადამიანის უფლებების კომისიებისა და ომბუცმენების სამსახურები/ომბუცმენი, როგორც ეროვნული პრევენციის მექანიზმის შექმნასა და დანიშვნაზე

და ეწინააღმდეგება იმ სულისკვეთებას, რაც ჩაფიქრებული იყო წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ფაკულტატიური ოქმის შემუშავებისას. არგენტინის ქვემოთ მოყვანილი მაგალითი ხაზს უსვამს მესამე სექტორის მიერ თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში შესვლის უფლებამოსილების უზრუნველყოფის უკიდურეს აუცილებლობას.

არგენტინაში სამოქალაქო საზოგადოების როლის დაცვა

არგენტინაში წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის კანონი მომზადდა იუსტიციის სამინისტროს მიერ, რომელიც ითვალისწინებს სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლის მხარდაჭერას თავისუფლების შეზღუდვის ადგილების მონიტორინგის საკითხებში, მიუხედავად წამების პრევენციის ეროვნულ მექანიზმში მათი მონაწილეობისა. ხსენებული მუხლის მიხედვით: „წინამდებარე ნორმის არც ერთი დისპოზიცია არ უნდა იქნას გამოყენებული, რათა შეზღუდოს იმ ორგანიზაციებისა და ორგანოების შესვლა, რომლებმაც ამჟამაც ახორციელებენ ან მომავალში განახორციელებენ ვიზიტებს თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში, მიუხედავად იმისა პასუხობენ თუ არა ისინი მოთხოვნებს, რომელიც აუცილებელია მათი წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმების სახით დასანიშნავად.“¹¹ წერის პროცესში კანონპროექტი სამინისტროთაშორისი კონსულტაციების საგანი იყო.

II ა. შესავალი: სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა ფორმალური მონაწილეობა წამების პრევენციის ეროვნულ მექანიზმებში

წამების პრევენციის ასოციაცია თავის გამოცემაში, *სახელმძღვანელო წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმების დანიშვნისა და შექმნის შესახებ*, გამოყოფს სხვადასხვა ტიპის ვიზიტის ორგანოების ძლიერ და სუსტ მხარეებს, რომლებიც მოქმედებენ, როგორც ქვეყნის წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმები, რომლებსაც ასევე ეხებოდა წინა გვერდი. მაშინ, როცა სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ ამ კუთხით, მნიშვნელოვანია, გათვალისწინებული იყოს, რომ წამების პრევენციის ნებისმიერ ეროვნულ მექანიზმში მათ, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა პოტენციურ ვიზიტის ორგანოს ჩართვასთან, ასოცირდება ძლიერი და უარყოფითი მხარეები. მოკლედ, რომ შევაჯამოთ წამების პრევენციის ასოციაციის სახელმძღვანელოში მოცემული ზოგიერთი პოზიტიური მხარეები (იხილეთ ზემოთ), იგი მოიცავდა თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში ვიზიტების განხორციელებაში მათ გამოცდილებას და მათ ნდობაზე დამყარებულ ურთიერთობებს, რომლებიც შესაძლოა ჰქონოდათ პატიმრებთან; მათ, როგორც ინფორმაციის წყაროს მნიშვნელობას; მათ მოვალეობას ადამიანის უფლებებზე და მათი მთავრობისაგან სტრუქტურულ დამოუკიდებლობას.

მეორეს მხრივ, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩართვა შესაძლოა წარმოადგენდეს პრობლემატურ საკითხს, როდესაც თავისუფლების შეზღუდვის ადგილების მონიტორინგში სერიოზული გამოცდილების მქონე ორგანიზაციას მთავრობასთან ქონდა ან აქვს ანტაგონისტური ურთიერთობა. უფრო მეტიც, კონკრეტული სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეებს შეიძლება

¹¹ იხილეთ არგენტინის წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის შესახებ კანონპროექტის 30-ე მუხლი, წარმოდგენილი არგენტინის იუსტიციის სამინისტროს მიერ იორნადას ნიკოლაეს სობრეს დროს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ფაკულტატიური ოქმის განხორციელება, უენოს აირესი, არგენტინა, 14-15 დეკემბერი 2006 წ.

გაუჭირდეთ ხელისუფლების კრიტიკულ პოზიციასთან შერიგება, თანამშრომლური დიალოგის თვალსაზრისით, რასაც მოითხოვს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ფაკულტატიური ოქმი. წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფორმალურ ნაწილად გახდომით, კანონით დადგენილმა უფლებამოსილებამ, ძალაუფლებამ, სტრუქტურამ და ფინანსებმა შესაძლოა გამოიწვიოს მათი პასუხისმგებლობა, მოქნილობის ნაკლებობა და თავად არასამთავრობო ორგანიზაციის ინტერესებიდან დამოუკიდებლად მოქმედების მოთხოვნა, რაც კონკრეტული სამოქალაქო საზოგადოებრივი ერთეულებისთვის შესაძლოა ძნელად მისაღები აღმოჩნდეს.

ამ ფაქტორების მიუხედავად, წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის მრავალი ისეთი მოდელი შეიქმნა, რომელიც ითვალისწინებს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთათვის განსაზღვრულ როლს. რამდენიმე მათგანი ქვემოთაა განხილული. დამატებით არსებობს რამდენიმე სხვა ქვეყანა, სადაც წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმების შექმნის პროცესის დაწერისას სამოქალაქო საზოგადოება უწყვეტად მოუწოდებდა ფაკულტატიური ოქმის განხორციელებაზე პასუხისმგებელ ორგანოებს, რომ მოეხდინათ მათი ჩართვა წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმში. საინტერესოა, მოახდენს თუ არა ხელისუფლება ამ ქვეყნებში ამგვარ მოთხოვნებზე რეაგირებას.

II ბ. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების ინდივიდუალური მონაწილეობა წამების პრევენციის ეროვნულ მექანიზმებში

სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შეუძლიათ ინდივიდუალური მონაწილეობა მიიღონ წამების პრევენციის ეროვნულ მექანიზმებში, მათი, როგორც კვალიფიცირებული პირების გამოცდილების გამოყენებით. ამგვარმა მონაწილეობამ შესაძლოა თავიდან აიცილოს ზოგიერთი ზემოთ მოცემული პრობლემა, რომელიც შესაძლოა წარმოიქმნას სამოქალაქო საზოგადოების პრევენციის ეროვნულ მექანიზმებში ორგანიზაციული ფორმით მონაწილეობით. წამების პრევენციაში და უფრო კონკრეტულად, თავისუფლების შეზღუდვის ადგილების მონიტორინგში გამოცდილების მქონე დამოუკიდებელი ექსპერტები შესაძლოა იყვნენ წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრები სრულ ან ნახევარ განაკვეთზე, მოთხოვნის შესაბამისად. ამგვარი ტიპის მონაწილეობის მაგალითების ნახვა შესაძლებელია წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის მოდულებში და ზოგიერთი ქვეყნის წინადადებებში, მათ შორის, მოლდოვას და პარაგვაის მაგალითებში, როგორც ეს ქვემოთაა მოცემული.

მოლდოვას საკონსულტაციო საბჭოს დაარსება

კანონმდებლობაში 2007 წელს განხორციელებულმა ცვლილებებმა გამოიწვია ადამიანის უფლებების ეროვნული ცენტრის (სახალხო დამცველის სამსახური) წამების პრევენციის ეროვნულ მექანიზმად დანიშვნა. კანონით ასევე შეიქმნა ე.წ. საკონსულტაციო საბჭო, რომელიც შეიცავდა 11 წარმომადგენელს და დაეკისრა წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმების მთელი საქმიანობა. საკონსულტაციო საბჭოს თერთმეტი წევრიდან ათი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელია, მაშინ, როცა ქვეყნის სამი სახალხო დამცველიდან ერთ-ერთი შეასრულებს თავმჯდომარის ფუნქციას. 2007 წლის ბოლოს, მოლდოვაში ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მისიამ, გადამწყვეტი როლი შეასრულა წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის შექმნაში, დაეხმარა საკონსულტაციო საბჭოს სამართლებრივი დებულების შემუშავებაში. დებულება განსაზღვრავს მის მთელ რიგ ფუნქციებს, მათ შორის მიზნებს, სახელმძღვანელო

პრინციპებს, შემადგენლობას, წევრთა შერჩევასა და განთავისუფლებას, მათ პრივილეგიებსა და იმუნიტეტებს, ასევე დაწესებულების საქმიანობასა და მოვალეობებს. დებულება საბოლოოდ დამტკიცდა 2008 წლის იანვრის ბოლოს, რის შემდეგაც ადამიანის უფლებათა ცენტრმა დაიწყო საკონსულტაციო საბჭოს ათი წევრის მიღების პროცესი. 2008 წლის აპრილის ბოლოს, ხუთკაციანმა მიმღებმა ჯგუფმა, რომელიც შედგებოდა ადამიანის უფლებათა ცენტრის, ადამიანის უფლებათა არასამთავრობო ორგანიზაციების და აკადემიის წარმომადგენლებისაგან, დაასრულა ორგანოს ათი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლით დაკომპლექტების პროცესი. ესენი არიან სხვადასხვა პროფესიისა და გამოცდილების მქონე პირები, რომლებიც შეასრულებენ წამების პრევენციის ეროვნულ მექანიზმთან დაკავშირებულ მათ მოვალეობებს ანაზღაურების, მათ შორის დღიური ხარჯების ანაზღაურების გარეშე. ამ დოკუმენტის წერის დროს ორგანო მზად იყო მალე დაეწყო მონიტორინგის კუთხით საქმიანობა.

მოქალაქეთა მონაწილეობის გარანტირება და მათი ექსპერტიზის გამოყენება პარაგვაის წამების პრევენციის მექანიზმში

სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა ჩართვა წამების პრევენციის ეროვნულ მექანიზმში გათვალისწინებულია პარაგვაიში, სადაც სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა და სახელმწიფომ, რომლებიც უშუალოდ იყვნენ ჩართულნი თავისუფლების შეზღუდვის ადგილების მონიტორინგში, ერთობლივად შეადგინეს კანონი წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის შესახებ. ეს უკანასკნელი ითვალისწინებს წამების პრევენციის ეროვნული კომისიის შექმნას, რომელიც შედგება ექვსი კომისარისა და სამი სათადარიგო წევრისაგან. საინტერესოა, რომ მთლიანი წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმი მოიცავს წამების პრევენციის ეროვნულ კომისიას, მის სამდივნოს, სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და ე.წ. დამოუკიდებელ ექსპერტებს ცნობილს როგორც „eskabinos“. ესენი არიან ექვსი კომისრის მიერ შესაბამის სფეროში მათი გამოცდილების საფუძველზე არჩეული მოქალაქეები. დამოუკიდებელი ექსპერტები მიჩნეულნი არიან, როგორც წამების პრევენციის ეროვნულ მექანიზმში მოქალაქეთა მონაწილეობის და მისი დამატებითი ექსპერტიზით უზრუნველყოფის საშუალება. წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის შესახებ კანონის შესაბამისად, კომისრებს გადაწყვეტილების მიღება შეუძლიათ მხოლოდ ეროვნული კომისიის წლიური გეგმისა და ბიუჯეტის საკითხებზე, იმ შემთხვევაში თუ სულ ცოტა სამი დამოუკიდებელი ექსპერტი ან „eskabinos“ არ ესწრება. ამ უკანასკნელთ ხმის მიცემის უფლება აქვთ მათი კონკრეტული ექსპერტიზის სფეროებთან დაკავშირებულ (მაგალითად, ფსიქიატრიულ დაწესებულების) კომისიის ყველა გადაწყვეტილებაში. დამოუკიდებელ ექსპერტებსაც (რომელთაც ეძლევათ დღიური ხარჯები, მაგრამ არ იღებენ ხელფასებს) ასევე გააჩნიათ იგივე შესაძლებლობა ჩაატარონ ვიზიტები, მოითხოვონ ინფორმაცია და გამოიყენონ წამების პრევენციის ეროვნულ მექანიზმთან დაკავშირებული კომისრების სხვა უფლებამოსილებები. ამ დოკუმენტის მომზადების პერიოდში, წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის შესახებ კანონპროექტი იხილებოდა შესაბამისი საპარლამენტო კომისიების მიერ.

ანალოგიურად, ბრაზილიაში წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის შესახებ კანონის პროექტის წერის დროს, რომელიც ითვალისწინებდა სრულიად ახალი ორგანოს შექმნას წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის სახით, იგი მოხსენიებული იყო, როგორც წამების პრევენციის მობილური ჯგუფი. კანონპროექტის თანახმად, რომელშიც შესაძლოა მინისტრთა შორის კონსულტაციების შედეგად შევიდეს ცვლილებები, გათვალისწინებულია, რომ

ახლად შექმნილი ორგანო უნდა შედგებოდეს სამოქალაქო საზოგადოებისა და სხვადასხვა პროფესიული ჯგუფების წარმომადგენლებისაგან.

II გ. სამოქალაქო საზოგადოების წევრების ჩართვა წამების პრევენციის ეროვნულ მექანიზმში დაწესებულებების სახით

სამოქალაქო საზოგადოების ისეთ ორგანიზაციებს, როგორცაა არასამთავრობო ორგანიზაციები, შეუძლიათ ჩაებან წამების პრევენციის ეროვნულ მექანიზმში დაწესებულებების სახით, რომლებიც იმუშავენ სხვა უკვე არსებულ მონიტორინგის მექანიზმებთან ერთად, როგორცაა სახალხო დამცველის სამსახური. ზოგიერთი მხარის მიერ ამგვარი შერეული მოდელები მოხსენიებულია, როგორც ე.წ. „ომბუცმენს პლიუს“ მოდელი. ამ მიდგომის განსხვავებული ძალა მდგომარეობს იმაში, რომ იგი ეყრდნობა არსებულ გამოცდილებასა და ხელმისაწვდომ ადამიანურ და ფინანსურ რესურსებს, იმ მიზნით, რათა შექმნას ეფექტური წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმი. იდეალურ შემთხვევაში, წამების პრევენციის ეროვნულ მექანიზმში ჩართული სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები უკვე უნდა ახორციელებდნენ თავისუფლების შეზღუდვის ადგილების მონიტორინგს და შედეგად დაგროვილი უნდა ჰქონდეთ სერიოზული გამოცდილება.

დღესდღეობით სლოვენია ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც ოფიციალურად გახსნილი აქვს გზა არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის წამების პრევენციის ეროვნულ მექანიზმში მონაწილეობის მისაღებად, კერძოდ ადამიანის უფლებათა სახალხო დამცველის სამსახურთან თანამშრომლობით. უფრო მეტიც, როგორც ზემოთ იქნა განხილული, არსებობს მრავალი სხვა ქვეყანა, სადაც სამოქალაქო საზოგადოება განუწყვეტლივ მოუწოდებს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ფაკულტატიური ოქმის განხორციელებაზე პასუხისმგებელ ხელისუფლებას ისინი ჩართოს წამების პრევენციის ეროვნულ მექანიზმში. შესაბამისად, დროთა განმავლობაში შესაძლოა შეიქმნას ომბუცმენ ან ომბუცმენ პლიუს მოდელი.

სლოვენიის “ომბუცმენ პლიუს” მოდელი

სლოვენია იმ ქვეყნის მაგალითის წარმოადგენს, რომელმაც დეტალურად გაითვალისწინა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა როლი წამების პრევენციის ეროვნულ მექანიზმში. წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ფაკულტატიურ ოქმთან მიერთებისას 2007 წლის იანვარს სლოვენია გააკეთა ოფიციალური დეკლარაცია, რომლის შესაბამისადაც: „*ოქმის მე-17 მუხლის შესაბამისად, სლოვენიის რესპუბლიკა აცხადებს, რომ წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმების კომპეტენციები და ვალდებულებები შესრულებული იქნება ადამიანის უფლებათა სახალხო დამცველის და მასთან შეთანხმებით ასევე სლოვენიის რესპუბლიკაში რეგისტრირებული ორგანიზაციების და ორგანიზაციების მიერ, რომლებმაც მოიპოვეს პუბლიკური ორგანიზაციების სტატუსი სლოვენიის რესპუბლიკაში*“. ამ მიზნით, 2007 წლის 5 ოქტომბერს, დაინტერესებული ორგანიზაციები მოწვეულ იქნენ ომბუცმენის სამსახურში საჯარო ტენდერში განაცხადების შესატანად, წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის ნაწილად განხილვის მიზნით. შემდგომ ორმა არასამთავრობო ორგანიზაციამ შეიტანა საბუთები და წარმატებით იქნა შერჩეული სახალხო დამცველის სამსახურის მიერ. ეს მოიცავდა მშვიდობის ინსტიტუტს (*Mirovni institute*) და არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის იურიდიული ინფორმაციის

ცენტრს (*Pravo-informacijski center nevladnih organizacij-PIC*). ორივე ხსენებულ ორგანიზაციას აქვს თავისუფლების შეზღუდვის ადგილების მონიტორინგთან, ასევე თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილთა საკითხებთან დაკავშირებული გამოცდილება. პირველად, არასამთავრობო ორგანიზაციისა და სახალხო დამცველის სამსახურის წარმომადგენლები ერთობლივად განახორციელებენ ვიზიტებს თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში, თუმცა შემდგომი ვიზიტები შესაძლებელია განხორციელდეს ინდივიდუალურად ორგანიზაციის მიერ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ყველა მხარე სარგებლობს თანაბარი ძალაუფლებითა და უფლებამოსილებით. სლოვენის წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია წამების პრევენციის ასოციაციის ვებ-გვერდზე, ქვეყნების შესახებ ანგარიშებში.

წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის წინადადებები, არგენტინაში სამოქალაქო საზოგადოების მონიტორინგის გაძლიერებისათვის

იუსტიციის სამინისტროს წინადადებაზე დამატებით, არგენტინაში ამჟამად არსებობს რამდენიმე სხვა წინადადების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების როლს ქვეყნის წამების პრევენციის ეროვნულ მექანიზმში. 2008 წლის დასაწყისში *Procuración Penitenciaria* ან ციხის ომბუცმენმა და არასამთავრობო ორგანიზაციამ *Centro de Estudios Legales y Sociales* წარმოადგინეს ამგვარი წინადადებები დებატებისთვის. ორივე წინადადება ითვალისწინებს ე.წ. შერეულ წამების პრევენციის ეროვნულ მექანიზმს, რომელიც უნდა შეიცავდეს სხვადასხვა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, მონიტორინგის სხვა არსებულ ორგანოებსა და ახლად დაფუძნებულ კომიტეტს ან წამების ადვოკატის კომისიას, როგორც წამების პრევენციის ეროვნულ მექანიზმს. ამ უკანასკნელი ორგანოს, როგორც მისი ზოგადი მექანიზმის ნაწილის, პრინციპულ ფუნქციებს შორის იქნება არსებული მონიტორინგის პრაქტიკის მხარდაჭერა, თავისუფლების შეზღუდვის ადგილების მონიტორინგის სტანდარტების დადგენის, ტრენინგების ჩატარების და არსებული დაწესებულებების, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციების აკრედიტების გზით. საინტერესოა აგრეთვე აღინიშნოს, რომ არსებობს სხვა წინადადებებიც, რომლებიც განიხილება არგენტინის, ფედერალური სახელმწიფოს ზოგიერთ პროვინციაში, რომელიც ასევე ითვალისწინებს ამგვარ როლს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის წამების პრევენციის ეროვნულ მექანიზმში.

სამოქალაქო საზოგადოების წევრების დაწესებულებების სახით ჩართვა წამების პრევენციის ეროვნულ მექანიზმებში არ არის შეზღუდული სლოვენის წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმითა და არგენტინაში არსებული წინადადებებით. პარაგვაიში (იხილეთ უფრო დეტალური მაგალითი, რომელიც მოცემულია ზემოთ) წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის შესახებ კანონის პროექტი ითვალისწინებს, რომ წამების პრევენციის ეროვნულ კომისიებს შეუძლიათ დადონ ურთიერთთანხმობის მემორანდუმები სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, რომლებიც არჩეულ იქნენ კონკურსის შედეგად, რათა იმუშაონ კონკრეტულ პროექტებზე.¹² ანალოგიურად, დისკუსიები მიმდინარეობდა ადამიანის უფლებათა დამცველს (ომბუცმენის ოფისი), რომელიც დანიშნული იქნა, როგორც წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმი სომხეთში და სამოქალაქო საზოგადოებას შორის ამ უკანასკნელის წამების პრევენციის

¹² პარაგვაის კანონის პროექტი წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის შესახებ, რომელიც განიხილება პარაგვაის კონგრესის მიერ 2007 წლის ივნისიდან

ეროვნული მექანიზმში ჩართვასთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, საკითხავია მოჰყვა, თუ არა რაიმე შედეგი აღნიშნულ გადაწყვეტილებებს.

II დ. სამოქალაქო საზოგადოების წევრთა ჩართვა წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის სარეკომენდაციო ორგანოებში

სხვა შესაძლო როლი, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შეუძლიათ შეასრულონ წამების პრევენციის ეროვნულ მექანიზმთან მიმართებით, კონსულტაციურ ხასიათს ატარებს. ამ დროისათვის, ზოგიერთ ქვეყანაში, კონსულტაციური ორგანოები შემოთავაზებულია კანონპროექტებით, რომლებიც ადგენენ წამების პრევენციის ეროვნულ მექანიზმს. ეს ორგანოები პოტენციურად ძალიან მნიშვნელოვანი არიან, რამდენადაც ისინი ხელს შეუწყობენ წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმების მუშაობას და ამგვარად, იმედია, რომ მათ უფრო ეფექტურ მექანიზმად აქცევენ. ეჭვს გარეშეა, რომ არსებობს გარკვეული რისკები, რომლებიც უკავშირდება სამოქალაქო საზოგადოების, წამების პრევენციის ამგვარ ეროვნულ მექანიზმებთან არსებულ სარეკომენდაციო ორგანოებში მონაწილეობას, განსაკუთრებით, თუ პრაქტიკაში, მათი ჩართვა ხელისუფლების მხრიდან მიიხნევა მხოლოდ სიმბოლურად და თუ მათი კომპეტენცია იგნორირებულია. მიუხედავად ამისა, ამგვარმა ორგანიზაციებმა შესაძლოა გამოავლინონ თავი, როგორც წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმისთვის უკიდურესად საჭირო დამხმარე ორგანოებმა.

საკონსულტაციო საბჭოს როლი ჰონდურასის წამების პრევენციის შესაძლო ეროვნულ მექანიზმში

ჰონდურასში წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის კანონის პროექტი, რომელიც შემუშავებულ იქნა კონგრესის ადამიანის უფლებათა კომისიის მიერ სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად, ითვალისწინებს ახალი წამების პრევენციის ეროვნული კომიტეტის შექმნას, რათა იმოქმედოს, როგორც წამების პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა. სამი დამოუკიდებელი ექსპერტისაგან შემდგარ აღნიშნულ ეროვნულ კომიტეტს დახმარებას გაუწევს სამდივნო, ისევე როგორც სარეკომენდაციო საბჭო. ამ უკანასკნელის შემადგენლობაში იქნებიან ეროვნული კომიტეტის პრეზიდენტი, ეროვნული ადამიანის უფლებების კომისიის, ადამიანის უფლებათა დაცვის პროკურატურისა და სასამართლო ხელისუფლების თითო წარმომადგენელი, აგრეთვე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის ორი წარმომადგენელი. სარეკომენდაციო საბჭოს მანდატი, სხვა საკითხებთან ერთად, იქნება ეროვნული კომიტეტისთვის რეკომენდაციების გაწევა წამების პრევენციასთან დაკავშირებით, შესაბამისი სპეციალიზირებული მეცადინეობების ჩატარება და წინადადებების შემუშავება წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის გაუმჯობესების მიზნით. კანონპროექტის შესაბამისად, საკონსულტაციო საბჭო უფლებამოსილი იქნება სამუშაო ჯგუფების შექმნის გზით ან ინდივიდუალურად მოიწვიოს სხვა დაწესებულებები ან კერძო პირები წამების პრევენციის ეროვნულ მექანიზმში წვლილის შეტანის მიზნით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბრაზილიაშიც და არგენტინაშიც კანონპროექტები ითვალისწინებს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების ჩართვას სარეკომენდაციო ორგანოებში, რომელიც მხარს დაუჭერს წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმების საქმიანობას ამ ქვეყნებში. დამატებითი ინფორმაციის ნახვა არგენტინისა და ბრაზილიის სარეკომენდაციო ორგანოების შესახებ შესაძლებელია ქვეყნების მიხედვით წამების პრევენციის ასოციაციის ვებ-გვერდზე ოქმის რატიფიკაციის სტატუსის შესახებ ანგარიშში.

II ე. რეკომენდაციები სამოქალაქო საზოგადოებისა და მთავრობის წარმომადგენლებისათვის

სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისათვის:

- სამოქალაქო საზოგადოებამ დაბეჯითებით უნდა მოითხოვოს მათი ჩართვა ნებისმიერ ეროვნულ პროცესში, რათა განისაზღვროს წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმი, რაც განხილულია წინამდებარე დოკუმენტის პირველ ნაწილში;
- ეს ჩართულობა უნდა მოიცავდეს მათ მონაწილეობას წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრებისა და თვით წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის საბოლოო განსაზღვრის პროცესში;
- სამოქალაქო საზოგადოებამ წინ უნდა წამოწიოს თავისი არგუმენტები, რათა ისინი გათვალისწინებულ იქნას წამების პრევენციის ეროვნულ მექანიზმში, თუ ისინი მიჩნეულ იქნა სატანადოდ და მისაღებად. ამ მიზნით, სამოქალაქო საზოგადოებამ აქტიურად უნდა შეიმუშაოს წინადადებები წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის შესახებ, რომელიც გაითვალისწინებს ამგვარ როლს მათთვის;
- სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, თუ ისინი ოფიციალურად არიან ჩართულები წამების პრევენციის ეროვნულ მექანიზმში, მომზადებულნი უნდა იყვნენ, რომ შეიმუშაონ თანამშრომლობითი მიდგომა მთავრობასთან მიმართებით, როგორც ეს გათვალისწინებულია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ფაკულტატიური ოქმით.

მთავრობებისათვის:

- მთავრობამ ყურადღებით უნდა განიხილოს ის ფასდაუდებელი წვლილი, რომელიც სამოქალაქო საზოგადოებას შეუძლია შეიტანოს წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის ეფექტურად ფუნქციონირების საქმეში, მათ შორის მათი ჩართვა წამების პრევენციის ეროვნულ მექანიზმში ან სარეკომენდაციო საბჭოში;
- მთავრობები, რომელთაც შეუძლიათ მნიშვნელოვნად გაზარდონ პრაქტიკაში განსაზღვრული ან დადგენილი წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის ეფექტურობა და საიმედოობა, მზად უნდა იყვნენ კეთილსინდისიერად განიხილონ და გამოიკვლიონ ამგვარი ვარიანტები;
- მთავრობებმა არც ერთ შემთხვევაში არ უნდა მიიღონ წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმების შექმნა, როგორც თავისუფლების შეზღუდვის ადგილების მონიტორინგში ჩართული სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების არსებული ან სამომავლო საქმიანობის შეზღუდვა.

III. სამოქალაქო საზოგადოების წევრები წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმების გარეთ

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შეუძლიათ ითამაშონ სხვა როლი წამების პრევენციის ეროვნულ მექანიზმებთან მიმართებით, მაშინაც კი, როდესაც ისინი არ არიან მისი ოფიციალური წევრები. მათთვის მნიშვნელოვანია თვალყური ადევნონ, თუ როგორაა ჩამოყალიბებული წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმები და როგორ მოქმედებენ ისინი პრაქტიკაში. შესაბამისად, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს გააჩნიათ რამოდენიმე მნიშვნელოვანი

ფუნქცია წამების პრევენციის ეროვნულ მექანიზმებთან მიმართებით, რომელიც მოიცავს წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმების მუშაობის მონიტორინგს, მისი ფუნქციონირების გაუმჯობესების მიზნით სასარგებლო რეკომენდაციების შემუშავებას, ასევე მათი საქმიანობის მხარდაჭერას, თავისუფლების შეზღუდვის ადგილებთან დაკავშირებით შესაბამისი სხვადასხვა ინფორმაციების მოპოვებისა და წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმების წევრებისათვის ტრენინგების ჩატარების გზით. თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს გააჩნიათ მნიშვნელოვანი ფუნქცია, რომ კრიტიკულად შეაფასონ წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმების საქმიანობა. შესაბამისად, არსებობს რამოდენიმე გამოწვევის, თუ როგორ შეიძლება გავლენა იქონიოს სამოქალაქო საზოგადოებამ წამების პრევენციის ეროვნულ მექანიზმებზე, ისე, რომ ოფიციალურად არ იყოს მისი წევრი.

III ა. სამოქალაქო საზოგადოების წევრების მონაწილეობა წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრების დანიშვნის პროცესში

პრაქტიკული გამოცდილება აჩვენებს, რომ დანიშვნის პროცესი უნდა იყოს გამჭვირვალე და მოიცავდეს კონსულტაციებს სამოქალაქო საზოგადოებასთან. უფრო მეტიც, თავის პირველ ყოველწლიურ ანგარიშში გაერო-ს წამების პრევენციის ქვეკომიტეტმა ხაზი გაუსვა ამ მნიშვნელოვან ელემენტს, რომელიც ამბობს, რომ: *“წამების პრევენციის ეროვნულ მექანიზმის როგორც ფაქტობრივი, ისე აღქმული დამოუკიდებლობა, ხელშეწყობილ უნდა იქნას ისეთი წევრების შერჩევის და დანიშვნის გამჭვირვალე პროცესით, რომლებიც არიან დამოუკიდებელი და არ უკავიათ ისეთი თანამდებობები, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიოს გარკვეული შეკითხვები ინტერესთა კონფლიქტის თაობაზე.”*¹³

მნიშვნელოვანია, რომ ნებისმიერი დანიშვნის პროცესი განსაზღვრავს წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრების დანიშვნის მეთოდს, კრიტერიუმებს და ხანგრძლივობას, ისევე, როგორც მათ პრივილეგიებსა და იმუნიტეტებს, რომელიც დეტალურად არის ახსნილი წამების პრევენციის ასოციაციის მიერ.¹⁴ გამოცდილებამ გამოავლინა სხვადასხვა გზები, სადაც გათვალისწინებულია სამოქალაქო საზოგადოების როლი წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრების დანიშვნის პროცესში. მოცემული მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის დონე აღნიშნულ პროცესში მნიშვნელოვნად განსხვავდება.

პარაგვაის წამების პრევენციის ეროვნულ მექანიზმში სამოქალაქო საზოგადოების შეთავაზებული მონაწილეობა

პარაგვაიში წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის კანონის პროექტი ითვალისწინებს, რომ ექვსი კომისარი და წამების პრევენციის ეროვნული კომისიის სამი შემცველი (იხილეთ უფრო დეტალური მაგალითი, რომელიც მოცემულია ზემოთ) არჩეულია საარჩევნო კოლეგიის მეშვეობით. თითო კომისარი აირჩევა საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების მიერ, ხოლო დანარჩენი სამი კომისარი – სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ. თითოეული საარჩევნო კოლეგიის მიერ კანდიდატურების მიღების შემდეგ, შემუშავდება მოკლე სია, რომელიც განხილულ იქნება საჯარო კონსულტაციებზე საჯარო მოსმენის გზით, იმ მიზნით, რათა შერჩეულ იქნას კანდიდატები. პროცედურა, რომელიც გარე დამკვირვებლებისთვის შესაძლოა საკმაოდ რთულად

¹³ იხილეთ გაერო-ს დოკუმენტი. CAT/C/40/2, 25 აპრილი 2008 – პუნქტი 28 (iii)
¹⁴ იხილეთ *სახელმძღვანელო წამების პრევენციის ეროვნულ მექანიზმების დაფუძნებისა და დანიშვნის შესახებ* (2007) – გვ. 41-41.

ჩანდეს, მიზნად ისახავს შემოწმებისა და დაბალანსების შემოღებას, რათა თავიდან იქნას აცილებული წარსული გამოცდილების გამეორება, რამდენადაც მნიშვნელოვანი ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტიტუტები უკავიათ არც ისე იდეალურ კანდიდატებს.

ჰონდურასის წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის კანონის პროექტი ასევე ითვალისწინებს სამოქალაქო საზოგადოების ჩართვას წევრების დანიშვნის პროცესში. წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმების პროექტი ითვალისწინებს სამ-კაციანი წამების პრევენციის ეროვნული კომიტეტის შექმნას, რომელთაგანაც თითოეული დანიშნული იქნება საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ. აღნიშნული პროექტის თანახმად, სამოქალაქო საზოგადოების წევრები არჩეული იქნებიან საერთო სხდომაზე, რომელსაც დაესწრებიან სხვადასხვა შესაბამისი არასამთავრობო ორგანიზაციები.

აფრიკისა და ევროპის რეგიონში, მოლდოვას საკონსულტაციო საბჭოსა და ბენინის ეროვნული ობსერვატორიის წევრების შერჩევის პროცესში ჩართულია სამოქალაქო საზოგადოება. როგორც უკვე აღინიშნა წინამდებარე დოკუმენტის II თავში, მოლდოვაში ხუთი პირისაგან შემდგარმა ექპერტთა გჯუფმა, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა ადამიანის უფლებათა ცენტრის, ადამიანის უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და აკადემიის წარმომადგენლები, ჩაატარა წამების პრევენციის ეროვნულ მექანიზმების ათი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლის შერჩევის პროცესი. ანალოგიურად, სამოქალაქო საზოგადოებას დაეკისრა იგივე როლი ბენინშიც, რასაც ნათლად ასახავს ქვემოთ მოცემული მაგალითი:

ბენინის წამების პრევენციის ეროვნული ობსერვატორიის წევრთა შერჩევა

ბენინის კანონის პროექტი ითვალისწინებს ახალი ერთეული ორგანოს შექმნას ქვეყნის წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის სახით, ე.წ. *Observatoire National pour la Prévention de la Torture* (წამების პრევენციის ეროვნული ობსერვატორია), რომელიც შედგება სრულ შტატზე მომუშავე ხუთი წევრისაგან. ამ ქვეყანაში წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის შესახებ კანონის პროექტი ითვალისწინებს სამოქალაქო საზოგადოების ჩართვას დანიშვნის პროცესში. აღნიშნულის თანახმად, იუსტიციის სამინისტრო მიიღებს განაცხადებს წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრობაზე იმ კრიტერიუმების საფუძველზე, რომელიც მოცემულია კანონის პროექტში. აღნიშნული კრიტერიუმები მოიცავს კანდიდატის გამოცდილებას ადამიანის უფლებების სფეროში და შესაბამის კვალიფიკაციას წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ გაერო-ს კონვენციის ფაკულტატიური ოქმთან მიმართებით, ამასთან, კანდიდატის ასაკი უნდა აღემატებოდეს 25 წელს და იგი არ უნდა იყოს ჩართული სხვა საჯარო საქმიანობაში, რომელიც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს მის დამოუკიდებლობას.

შერჩევის პროცესის ზემოაღნიშნული საწყისი საფეხურის შემდეგ, იუსტიციის სამინისტრო კანდიდატების განაცხადებს წარუდგენს შესარჩევ კომიტეტს. ეს ორგანო შედგება საპარლამენტო იურიდიული კომიტეტის ერთი წევრისაგან, საკონსტიტუციო სასამართლოდან და სააპელაციო სასამართლოდან ორი მოსამართლისაგან და ადვოკატთა ასოციაციის, მედიკოსთა ასოციაციის შესაბამისი თითო წევრებისაგან, თავმჯდომარისა და ადამიანის უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან. კანონის პროექტის თანახმად, ამ სხვადასხვა ორგანოების წარმომადგენლები თავიანთი ჯგუფის წევრების მიერ დაინიშნებიან შესარჩევ კომიტეტებში. მოკლედ რომ ვთქვათ, შესარჩევ კომიტეტს

აკისრია ძალზედ მნიშვნელოვანი როლი დანიშნვის პროცესში, ხოლო იუსტიციის სამინისტრო პრაქტიკულად შეასრულებას მთლიანად პროცესის კოორდინატორის როლს.

არგენტინასა და შვეიცარიაში სამოქალაქო საზოგადოების როლი ითვალისწინებს ქვეყნის წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმების წევრების კანდიდატურების წაყენებას. მაგალითად, იუსტიციის სამინისტროს მიერ შეთავაზებული არგენტინის წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის პროექტის თანახმად, აღმასრულებელი ხელისუფლება დანიშნავს ათი პირისაგან შემდგარ წამების პრევენციის ეროვნულ კომიტეტს, საკანონმდებლო ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების რეკომენდაციების საფუძველზე. შემდეგ აღმასრულებელი ორგანო საჯაროდ გამოაქვეყნებს კანდიდატთა სიას, რის შემდეგაც არასამთავრობო ორგანიზაციები, პროფესიული ორგანოები და აკადემია 30 დღის განმავლობაში წარადგენენ თავიანთ შენიშვნებს წერილობითი ფორმით. არგენტინაში არსებული პროცესის ანალოგის ნახვა შეიძლება შვეიცარიაში, რაზეც მეტყველებს შემდეგი მაგალითები:

შვეიცარიის წამების პრევენციის კომისია

შვეიცარიის კანონმდებლობის პროექტი ითვალისწინებს დამოუკიდებელი ორგანოს, როგორც ქვეყნის წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის, შექმნას ე.წ. წამების პრევენციის კომისიის სახით, რომელიც შედგება თორმეტი მოხალისე წევრისაგან. მიუხედავად იმისა, რომ წევრების დანიშვნა მოხდება ფედერალური მთავრობის მიერ იუსტიციის ფედერალური ოფისისა და საგარეო საქმეთა დეპარტამენტის რეკომენდაციების საფუძველზე, სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციებსაც შეეძლებათ კანდიდატურის წაყენება იმ სამსახურებში. გამომდინარე იქიდან, რომ შვეიცარიამ უნდა განახორციელოს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ფაკულტატიური ოქმის რატიფიცირება და შექმნას წამების პრევენციის კომისია, ჯერ კიდევ სანახავია, თუ რამდენად სერიოზულად მიიღებს სამოქალაქო საზოგადოების კანდიდატურებს შვეიცარიის ხელისუფლება პრაქტიკაში.

III ბ. სამოქალაქო საზოგადოების თანამშრომლობა წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმებთან

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები პოტენციურად შესაძლებელია იყოს მნიშვნელოვანი ინფორმაციის წყარო არა მხოლოდ წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმებისათვის, არამედ გაერო-ს წამების პრევენციის ქვეკომიტეტისათვისაც. კერძოდ, ორგანიზაციებს, რომლებსაც შეუძლიათ თავისუფლების შეზღუდვის ან ექსპერტიზის ადგილებში შესვლა, შეეძლებათ ღირებული ინფორმაციის გაცვლა ამ ორ ორგანოს შორის. იმ ქვეყნებში, სადაც წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმები განიცდიან კადრებისა და ფინანსების ნაკლებობას, ამგვარი ინფორმაცია სასარგებლო იქნება მათი საქმიანობისათვის.

წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის სასარგებლო, არსებითი ინფორმაციით უზრუნველყოფასთან ერთად, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების გამოცდილება თავისუფლების შეზღუდვის ადგილების მონიტორინგის სფეროში, ფასდაუდებელია წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმებისათვის მეთოდოლოგიური თვალსაზრისით. თავისუფლების შეზღუდვის ადგილების მონიტორინგის კუთხით გამოცდილების მქონე ორგანიზაციებს შეეძლებათ რჩევებისა და რეკომენდაციების გაკეთება წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმების სამუშაო მეთოდების გაძლიერების მიზნით. იგივე

შენიშვნები და რეკომენდაციები შეიძლება მიეცეს გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტს, რომელსაც თავის მხრივ გააჩნია წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმებისათვის რეკომენდირებისა და დახმარების გაწევის მანდატი.

ანალოგიური საერთო მიდგომა შეიძლება ჰქონდეს სამოქალაქო საზოგადოებას წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმების ყოველწლიურ ანგარიშთან, ასევე მის სხვა საჯარო დოკუმენტებთან მიმართებით. წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის რეკომენდაციებისა და გადაწყვეტილებების განხილვითა და გავრცელებით, ასევე ამ უკანასკნელის განხორციელების ნებისმიერი პროგრესის მონიტორინგით, სამოქალაქო საზოგადოება აქტიურად შეუწეობს ხელს ეროვნული მონიტორინგის ორგანოს მიმდინარე მუშაობის პროცესს.

სამოქალაქო საზოგადოებას ასევე არსებითი როლი აკისრია, რათა უზრუნველყოს, რომ წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმი იყოს სათანადოდ კვალიფიციური მისი სამუშაოს შესასრულებლად, საჭიროების შემთხვევაში, მისი წევრებისთვის შესაბამისი ტრენინგების ჩატარების გზით. შესაბამისი პროფესიული ტრენინგების ჩატარების ვალდებულება და ცნობიერების ამაღლება ტრენინგების საშუალებით, ის სფეროა, სადაც სამოქალაქო საზოგადოება შეიძლება იყოს ძალიან აქტიური.

III გ. სამოქალაქო საზოგადოების, როგორც მეთვალყურის (მოდარაჯის) როლი

ზემოთ ნახსენებ საერთო მიდგომასთან ერთად, სამოქალაქო საზოგადოების ორმაგ ფუნქციას წარმოადგენს პრაქტიკაში წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციონირების მეთვალყურეობა და აღნიშნულის განხორციელებისას მოდარაჯის როლის შესრულება. სამოქალაქო საზოგადოებამ უნდა უზრუნველყოს, რომ წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმი, რომელიც შექმნილია ან დაფუძნებულია სახელმწიფოს მიერ, აკმაყოფილებდეს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ფაკულტატიური ოქმით გათვალისწინებული კრიტერიუმების მინიმუმს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მზად უნდა იყოს, აქტიური ოპონირება გაიწიოს წამების პრევენციის ეროვნულ მექანიზმსა და სახელმწიფოს მხარეს, რათა ყურადღება გაამახვილონ ნებისმიერ ნაკლზე. მნიშვნელოვანია, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა თვალყური ადევნონ რიგ ფაქტორებს, ისეთებს, როგორცაა წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრების კვალიფიციურობა, მათი სამუშაო მეთოდები, წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის სამოქმედო პროგრამა და სამუშაოს რეგულარობა, ისევე როგორც მის რეკომენდაციებსა და გადაწყვეტილებებს. ქვემოთ მოცემული მაგალითები შესაფერისად ასახავს მოდარაჯის ფუნქციის მნიშვნელობას.

სამოქალაქო საზოგადოების როლი დანიის წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმთან მიმართებით

დანიის წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციისა და კვლევის ცენტრი (RCT) არასამთავრობო ორგანიზაციის ნიმუშია, რომელიც უკვე მოიცავს ამ მნიშვნელოვანი მოდარაჯის როლს. 2007 წლის თებერვალში წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციისა და კვლევის ცენტრმა წარადგინა მისი წამების წინააღმდეგ გაეროს-ს კომიტეტის მიერ დანიის მე-5 პერიოდული ანგარიშის განხილვისას განსახილველ საკითხთა სიის ალტერნატიული ანგარიში, რომელსაც ადგილი ჰქონდა უნდა ექნა 2007 წლის მაისს. თავის ანგარიშში წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციისა და კვლევის ცენტრმა აღნიშნა: “დანიის წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის შექმნის მოლოდინში, წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციისა

და კვლევის ცენტრმა (RCT) ჩაატარა იურიდიული კვლევა დანიის არსებულ ვიზიტის მექანიზმებთან დაკავშირებით და შეაფასა ისინი წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ფაკულტატიური ოქმთან კავშირში... კვლევის ძირითადი დასკვნა იყო, რომ არსებული შიდა ომბუცმენის ვიზიტის მექანიზმსა და 71-ე საპარლამენტო განყოფილებას - შემოწმება, არ შეეძლება ვალდებულება დააკისროს დანიას წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ფაკულტატიური ოქმის საფუძველზე.¹⁵ ორგანიზაცია ამტკიცებდა, რომ წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის შესაბამისობა წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ფაკულტატიური ოქმში მოცემულ კრიტერიუმებთან დაამსხვრია რამოდენიმე ფაქტორმა, მათ შორის: მისმა ჰომოგენურმა (სამართლებრივი) პროფესიულმა შემადგენლობამ, შეზღუდულმა რესურსებმა, ე.წ. თვისობრივმა ფუნქციამ და ვიზიტების დროს მექანიზმის მიერ გამოყენებული შეფასების სტანდარტებმა. ამ კრიტიკის დეტალური ანგარიში მოცემულია წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციისა და კვლევის ცენტრის (RCT) მოხსენებაში.¹⁶

სამოქალაქო საზოგადოების როლი ჩეხეთის რესპუბლიკის წამების პრევენციის ეროვნულ მექანიზმთან მიმართებით

ჩეხეთის რესპუბლიკაში სამოქალაქო საზოგადოება ამჟამად ჩართულია ქვეყნის წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის, ადამიანის უფლებათა სახალხო დამცველის საქმიანობის მონიტორინგის პროცესში. ჩეხეთის არასამთავრობო ორგანიზაციები, ადამიანის უფლებათა ლიგა გეგმავს წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობის განხილვას 2008 წლის დასასრულისთვის, რა დროისათვისაც მექანიზმი იფუნქციონირებს, როგორც ქვეყნის წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმი. ამ ეტაპზე იგი შეიმუშავებს რეკომენდაციებსა და შენიშვნებს, რომელიც მიზნად ისახავს წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციონირების გაუმჯობესებას. აღნიშნული შენიშვნები და რეკომენდაციები განხილვის საგანი იქნება მოგვიანებით მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოების ერთობლივ კომიტეტზე, რომელსაც გააჩნია წამებასა და სასტიკად მოპყრობის სხვა ფორმებთან დაკავშირებული საკითხების განხილვის მანდატი.

სამოქალაქო საზოგადოების როლი მექსიკის წამების პრევენციის ეროვნულ მექანიზმთან მიმართებით

როგორც უკვე აღწერილ იქნა ზემოთ ამ დოკუმენტში, წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის დახურულ კარს მიღმა დანიშნის პროცესს, 2007 წლის ივნისში, შედეგად მოჰყვა ადამიანის უფლებათა ეროვნული კომისიის, როგორც ქვეყნის წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის დანიშნა, სამოქალაქო საზოგადოებასთან და სხვა შესაბამის წევრებთან წინასწარი კონსულტაციების გავლის გარეშე. შედეგად, ადამიანის უფლებათა ეროვნულმა კომისიამ მოიწვია რიგი არასამთავრობო ორგანიზაციებისა, წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის სარეკომენდაციო საბჭოს შექმნის მიზნით. როგორც მოსალოდნელი იყო, ადამიანის უფლებათა ეროვნული კომისიის მიმართ ნდობის ნაკლებობის გამო

¹⁵ იხილეთ ანგარიშის მე-19 გვერდი, რომელიც ხელმისაწვდომია შემდეგ ინტერნეტ მისამართზე: http://www.ohchr.org/english/bodies/cat/dogs/ngos/RCT-Alternative_report.pdf

¹⁶ წამების წინააღმდეგ გაეროს კომიტეტის მიერ დანიის მე-5 პერიოდული ანგარიშის განხილვისას განსახილველ საკითხთა სიის ალტერნატიული ანგარიში, (19 თებერვალი, 2007) –გვ. 19-21

და იმის გათვალისწინებით, თუ როგორ იქნა იგი დანიშნული, როგორც წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმი, მხოლოდ რამოდენიმე სამოქალაქო საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ მიიღო ეს მოწვევა, რათა შეხვედრილიყვნენ და განეხილათ ეს წინადადებები. ზოგიერთმა ორგანიზაციამ გადაწყვიტა გარედან განეგრძო მონიტორინგის განხორციელება წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობაზე, რამდენადაც მიიჩნიეს, რომ ეს იქნებოდა მათი დროის უფრო მეტად ეფექტურად გამოყენება. ამ თავშეკავებულობის მიუხედავად, წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმი შესამჩნევად ღია დარჩა სამოქალაქო საზოგადოებასთან დიალოგისთვის და წამების პრევენციის ასოციაცია ხელს უწყობს ურთიერთობის აღდგენას ყველა შესაბამის წევრს შორის, რათა უზრუნველყოფილ იქნას წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ფაკულტატიური ოქმის ეფექტური შესრულება.

წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობაზე თვალყურის დევნების ფუნქციასთან ერთად, სამოქალაქო საზოგადოებას გადამწყვეტი როლი აკისრია, რათა განახორციელოს მონიტორინგი წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის რეკომენდაციებსა და შენიშვნებთან დაკავშირებით სახელმწიფოს რეაქციაზე. წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ფაკულტატიური ოქმის რატიფიცირება გულისხმობს, რომ წევრ სახელმწიფოებს აკისრიათ ვალდებულება აწარმოონ კონსტრუქციული დიალოგი წამების პრევენციის ეროვნულ მექანიზმთან, იმ მიზნით, რომ შეასრულონ მათი სხვადასხვა ვალდებულებები. და ბოლოს, სამოქალაქო საზოგადოება ფხიზლად უნდა იყოს, რათა უზრუნველყონ, რომ ხელისუფლების ორგანოებმა არც ერთ შემთხვევაში არ მიიღონ ისეთი ზომები, რომელიც წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის ერთიანობას შეუქმნის საფრთხეს, კერძოდ მის დამოუკიდებლობას, უფლებამოსილებას და საყოველთაო ეფექტურობას ან რომელიც შეაწყვეტინებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს განახორციელონ მონიტორინგი ქვეყანაში არსებულ თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში.

III დ. რეკომენდაციები სამოქალაქო საზოგადოებისა და მთავრობის წარმომადგენლებისათვის

სამოქალაქო საზოგადოებისათვის:

- როგორც წინამდებარე დოკუმენტის II ნაწილშია განხილული, სამოქალაქო საზოგადოებამ დაუჩინებთ უნდა მოითხოვის მათი ჩართვა წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის განსაზღვრის ნებისმიერ ეროვნულ პროცესში;
- ამ მხრივ, სამოქალაქო საზოგადოებამ უნდა მიმართოს სახელმწიფო ორგანოებს, რათა ისინი ჩართონ წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრთა შერჩევისა და დანიშვნის პროცესში, იმ თვალსაზრისით, რომ უზრუნველყოფილ იქნას დაწესებულებისა და მისი წევრების დამოუკიდებლობა;
- სამოქალაქო საზოგადოების წევრებს, რომლებიც არ არიან ჩართულნი წამების პრევენციის ეროვნულ მექანიზმში, გააჩნიათ მნიშვნელოვანი ორმაგი ფუნქცია წამების პრევენციის ეროვნულ მექანიზმთან მიმართებით. აღნიშნული მოიცავს კონსტრუქციულ თანამშრომლობას წამების პრევენციის

ეროვნულ მექანიზმთან მისი ეფექტური ფონქციონირების ხელშეწყობის მიზნით და მის საერთო საქმიანობაზე თვალყურის დევნებას;

- სამოქალაქო საზოგადოებამ ასევე უნდა შეასრულოს მეთვალყურის ფუნქცია სახელმწიფოსთან მიმართებით, რათა განახორციელოს მონიტორინგი, თუ რა მოცულობით ასრულებს სახელმწიფო წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის რეკომენდაციებს;
- ანალოგიურად, სამოქალაქო საზოგადოება ფხიზლად უნდა იყოს, რათა უზრუნველყოს, რომ მთავრობამ ან სხვა ხელისუფლების ორგანოებმა არც ერთ შემთხვევაში არ მიიღონ ისეთი ზომები, რომელიც წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის ეფექტურ საქმიანობას შეუქმნის საფრთხეს;
- სამოქალაქო საზოგადოებამ უნდა აცნობოს გაერო-ს წამების პრევენციის ქვეკომიტეტს წამების და სასტიკად მოპყრობის რისკის მიზეზებისა და ეროვნული/ადგილობრივი ზომების შესახებ, რომელიც უნდა იქნეს მიღებული აღნიშნული მოქმედებების აღკვეთის მიზნით.¹⁷

მთავრობებისათვის:

- მთავრობებმა ყურადღებით უნდა განიხილონ ის ფასდაუდებელი წვლილი, რომელიც შეუძლია შეიტანოს სამოქალაქო საზოგადოებამ წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის შექმნისა და მისი ეფექტურად ფუნქციონირების მიზნით;
- მთავრობებმა, რეაგირება უნდა მოახდინონ გაერო-ს წამების პრევენციის ქვეკომიტეტის რეკომენდაციებზე, რათა ხელი შეუწყონ წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის დამოუკიდებლობას, მისი წევრების შერჩევისა და დანიშვნის გამჭვირვალე პროცესის გზით, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოების წევრების აღნიშნულ პროცესში ჩართვით;
- მთავრობები ასევე მზად უნდა იყვნენ განიხილონ სამოქალაქო საზოგადოების შენიშვნები და რეკომენდაციები წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის ეფექტურ ფუნქციონირებასთან დაკავშირებით და მიიჩნიონ ისინი, როგორც ინფორმაციისა და რეკომენდაციების პოტენციური, სასარგებლო წყარო.

IV დასკვნა

წინამდებარე დოკუმენტის დასაწყისში საუბარია, რომ იმ მიზნით, რათა წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ გაერო-ს კონვენციის ფაკულტატიური ოქმის რატიფიცირება არ ატარებდეს ფორმალურ ხასიათს, მხოლოდ სახელმწიფო არ უნდა იყოს მისი იმპლემენტაციის განმსაზღვრელი, არამედ აღნიშნული პროცესი ასევე უნდა მოიცავდეს სხვა ეროვნულ მონაწილეებსაც, კერძოდ ადამიანის უფლებათა მოძრაობებსაც. წევრმა სახელმწიფოებმა ფართო კონსულტაციები უნდა გაიარონ მათი წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიზნებთან დაკავშირებით, რათა უზრუნველყოფილ იქნას ეფექტური მონიტორინგის მექანიზმის მიღება. კონსულტაციების გამართვა სამოქალაქო საზოგადოებასთან ლეგიტიმურობასა და სანდოობას შემატებს როგორც წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის განსაზღვრის პროცესს, ასევე თვით დაწესებულებას, რომელთაგანაც ორივე

¹⁷ იხილეთ წამების პრევენციის ასოციაციის ბრიფინგის ჩანაწერი, სამოქალაქო საზოგადოების როლი გაეროს წამების ქვეკომიტეტის ვიზიტის მომზადებაში.

არსებითა თავისუფლების შეზღუდვის ადგილების მონიტორინგის ეფექტური სისტემისთვის.

სამწუხაროდ, ყველა წევრ სახელმწიფოს არ მიუღია ასეთი ღია და ფართო მონაწილეობის უზრუნველყოფი მიდგომა. გაერო-ს წამების პრევენციის კომიტეტმა აღიარა ეს საერთო ხარვეზი თავის პირველ ყოველწლიურ ანგარიშში. მასში აღნიშნულია, რომ: *“გაერო-ს წამების პრევენციის კომიტეტი სწუხს ამ დროისათვის ბევრ წევრ-სახელმწიფოში არსებული პროგრესის ნაკლებობის შესახებ, რომელიც ეხება წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის დაფუძნებისათვის საჭირო კონსულტაციებს და აუცილებელ საკანონმდებლო და პრაქტიკულ თადარიგს, რათა უზრუნველყონ მათი ეფექტური მუშაობა. თუ წამების პრევენციის ეროვნულ მექანიზმებს არ შეუძლიათ მათი, როგორც უშუალო ვიზიტის მექანიზმის როლის შესრულება სასტიკი მოპყრობის აღკვეთისათვის, გაერო-ს წამების პრევენციის კომიტეტის როლი სერიოზულად შეიზღუდება და საზიანოდ იმოქმედებს.”*¹⁸

მიუხედავად ამისა, წინამდებარე დოკუმენტიდან ნათელია, რომ რიგმა წევრმა სახელმწიფოებმა მხედველობაში მიიღეს ეს მნიშვნელოვანი გაკვეთილები და სამოქალაქო საზოგადოება ჩართულ იქნა მექანიზმის ფორმისა და სტრუქტურის განსაზღვრის ყველა მნიშვნელოვან პროცესში. ჩვენ ასევე ვნახეთ, რომ ქვეყნების ცოტა, თუმცა მზარდ რაოდენობაში სამოქალაქო საზოგადოების წევრები წარმოადგენენ წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრებს. საინტერესო იქნება დაკვირვება, თუ როგორ განვითარდება ეს ტენდენცია მომავალ წლებში. ამ დოკუმენტში ასევე განხილულია, რომ იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც სამოქალაქო საზოგადოება ფორმალურად არ არის ჩართული წამების პრევენციის ეროვნულ მექანიზმში ან მასთან დაკავშირებულ სარეკომენდაციო ორგანოში, მას მნიშვნელოვანი როლი აკისრია მისი საქმიანობის მინიტორინგის, მხარდაჭერისა და კრიტიკულად შეფასების საკითხში.

და ბოლოს, წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის შემოღება, რომელიც სრულად უნდა შეესაბამებოდეს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ფაკულტატიური ოქმის მოთხოვნებს, სათანადოდ უნდა იყოს შეფასებული. ეს არის პროცესი, რომლის მიღწევასაც ესაჭიროება დიდი დრო და ძალისხმევა და მუდმივად დარჩება გრძელვადიან პროცესად. თუმცა, წინამდებარე დოკუმენტიდან ნათელია, რომ სამოქალაქო საზოგადოებამ მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანოს აღნიშნულ პროცესში, რომელსაც გააჩნია პოტენციალი რადიკალურად გააუმჯობესოს ის ზომები, რომელიც მიღებულ იქნა წამებისა და სასტიკად მოპყრობის პრევენციისათვის.

¹⁸ იხილეთ გაერო-ს დოკუმენტი. CAT/C/40/2, 25 აპრილი 2008 – პუნქტი 29.